K/2 838
838/2 №10968
ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავისუფალი საქართველო

მრავალი მაგიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 1 (6) 11 I 1991



ღმერთმა დალოცოს
გაზეთი „თავისუფალი საქართველო"
და მისი მკითხველი.

სასიხარულო შობას ვულოცავ
ქართველ ერს და სრულიად
საქართველოს.

+ ილია II.

## შობა

ალმოსავლეთით გამოჩნდა
ვარსკვლავი „სჯულის ცნობისა",
ჯერ უნახველი კაცთაგან,
უცნაურ სხივოსნობისა!

გაჰკვირდენ ვარსკვლავთ
მრიცხველნი
ვერ მისწვდა მათი გონება...
ინიშნეს მხოლოდ მოგვებმა
და იგრძნეს უფლის მონება.

ჰფიქრობდნენ ქვეყნის
მპყრობელის
ამ ქვეყნად დაბადებასა;
თან მიჰყვნენ ვარსკვლავს
მიმავალს,
ჰგალობდნენ ქებათ-ქებასა.

გაჩერდა ბეთლემს მნათობი,
ქვაბზე სხივები დაჰფინა,
სთქვეს მოგზაურთა: „აქ არის
ახალშობილის, სჩანს, ბინა!"

შევიდენ, ნახეს მწოლარე
ბაგაში საკვირველი ყრმა;
ნაცვლად „მზე შინის" ისმოდა
ანგელოზთ საამური ხმა!

ხედავენ ღარიბ სახვევში...
არსად სჩანს ხოჰიჰ-აკვანი!..
დაემხვენ მის-წინ მოჲრჩილად,
სასოებით სცეს თაყვანი.

ოქრო, გუნდრუკი და მური
შესწირეს ახალშობილსა,
და უგალობდენ სიმდაბლით
საგალობელსა წყობილსა.

„დიდება ყოვლის შემოქმედს!
დიდება მისა მცნებასა!..
დიდება ქვეყნად მაცხოვრის
ხორციელ მოვლინებასა .."

(1890)

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ზეცით მოხვედ, ქრისტე ღმერთო, და მიიღე ბუნებაი კაცობრივი ხაშოსა ქალწულისასა კაცთა ხსნისათვის"
(დასდებელნი ქრისტეს შობისა)

# „ზეცით მოხვედ, ქრისტე..."

„თუ ღმერთი იშვა და მოკვდა" წერს წმ. ათანასე ალექსანდრიელი, „იმიტომ კი არ მომკვდარა, რომ იშვა, არამედ ის იშვა იმისათვის, რომ მომკვდარიყო". ადამიანი, როგორც ყოველი ხორციელი, კვდება, რადგან [illegible]ბადება ხორციელად, ქრისტემ კი — [illegible]თავმა ძემ ღვთისა ხორცი შეი[illegible] სწორედ იმიტომ, რომ მომკვდა[illegible] რომ განხორციელებულს სიკ[illegible] „შეძლებოდა". ღმერთი მსხვე[illegible] უნდა შეწირულიყო, რაც მხო[illegible] [illegible]რცშესხმულისთვის არის შე[illegible]ლი, რომ სიკვდილით დაეთ[illegible]ნა სიკვდილი, რომელიც სოფელში ცოდვის სასჯელად შემოვიდა, და უკვდავეყო ხორცი, თანაზიარი ადამის ძის ხორცისა, რომელიც შეიმოსა. ქრისტეს თავისი სიკვდილით უნდა ეხსნა დაცემული კაცობრიობა — ასეთი იყო ღვთიური აღმშენებლობის ამოცანა, მაგრამ როგორ უნდა მომკვდარიყო უკვდავი, როგორ უნდა შეხებოდა სიკვდილის საწერტელი უკვდავებას, როგორ უნდა ჩასულიყო ჯოჯოხეთში, როგორც მსხვერპლი მისი, როგორც საქნიერი გველეშაპისთვის, ღვთიურობის ანკესზე წამოგებული მოკვდავი ხორცით, რათა შთანთქმულს შთაენთქა თავისი შთანმთქმელი? ეს უდიდესი საიდუმლოებაა, რომელსაც ვერ სწვდება ადამიანის გონება. მოკვდავის სასრული ცნობიერება ვერ ითავსებს შეუძლებლის შესაძლებლობას. მარტინ ლუთერი ამბობდა: ღმერთს სურდა თავის მსხვერპლად მიტანაში გაეცხადებინა თავი კაცობრიობისთვისო. აი, თავი და თავი ქრისტიანული თეოლოგიისა. იოანე ოქროპირი წერდა: „მე მას (ქრისტეს) მეფეს ვუწოდებ, რადგან ჯვარცმულს ვხედავ. მეფე უნდა კვდებოდეს თავის ქვეშევრდომთათვის". რა უფრო საკვირველია ადამიანის გონებისთვის — ბრწყინვალე აღდგომა ქრისტესი თუ ხორციელი შობა სამყაროს მეუფისა, განხორციელება ერთ-ერთ თავის ქმნილებად, რამაც მისი სიკვდილი გამოიწვია? ცხადია, შობა, რის მიუწვდომელ საიდუმლოებას უგალობს საშობაო იამბიკო: „ეჰა, საიდუმლოჲ სიბრძნისა საღმრთოჲსაჲ... აჰა, მიუწვდომელსა საიდუმლოსა, რამეთუ დაუტევნელი ბუნებაჲ ღმრთეებისაჲ ხორცითა დატევნულ იქმნა და ღმერთი შეუწერელი ქალწულისაგან იშვა..." შობა მაცხოვრისა არის დასაბამი ყოველთა საიდუმლოთა, რომელთაც აცხადებს ქრისტეს ამქვეყნიური გზა. ის არის „საიდუმლო ახალი" და „საიდუმლო საშინელი", როგორც „საიდუმლოჲ სიბრძნისა საღმრთოჲსაჲ".

„ცა მოიდრიკა და გარდამოვიდა ანუ თავისი დაუმდაბლებელი სიმაღლე დაუმდაბლებლად დაამდაბლა ჩამოვიდა თავის მსახურთა სამსახურად..." — იოანე დამასკელის ეს სიტყვები ჰიმნოგრაფიული სახისმეტყველებით გამოხატავს ღვთიურ ყოვლისშემძლეობას და მაცხოვრის მეფურ ღირსებას — იმის აუცილებლობა, რომ სოფლის ჭეშმარიტი მხსნელი თავისი მიუწვდომელი სიმაღლიდან დაბლა უნდა ჩამოსულიყო თვით სატანისათვის დროებით მიშვებულ სამეფომდე, ჯოჯოხეთამდე. კაცობრიობის მხსნელი უნდა ჩასულიყო არარაობის ფსკერამდე, რათა ამოეზიდა სისავსე ყოფიერებისა და სულნი დატყვევებულნი, ადამის სულიდან მოყოლებული თავისი მარჯვენით ჯვარცმული ავაზაკის სულამდე „დაგლახაკნა ჩვენთვის მდიდარი იგი, რაჲთა დაგლახაკებული ადამ განამდიდროს უხრწნელებით" (იოანე მტბევარის იამბიკოდან). მეფე დაგლახაკდა თავისი ქმნილების გულისთვის, იმ არსებისთვის, რომელიც ზოგჯერ მატლადაც კი რაცხს თავის თავს. რა სახეც არ უნდა მიეღო მას, ბუნებით გამოუსახველს, **უსახოს**, და რა ბრწყინვალება, მაინც ყველგან მისი დაგლახაკება იქნებოდა — უთუო შედეგი ტრანსცენდენტურის **წმიდას**, შემოჭრა ობიექტურ, დაცემულ სამყაროში „დამდაბლდა ხატად მიწისა ნათესავისა", ამბობს საგალობელი შობისა და ამაშია შობის საიდუმლო. სად გამოიხატა უფრო მეტი ძლიერება ღვთისა, ვიდრე ღვთის განკაცებაა? ამ საშინელ საიდუმლოს უგალობს დაუცხრომლად საშობაო საგალობელნი და წვდება კი საბოლოოდ მის არსს?

შობიდან იწყება გამოსყიდვის აქტი, თავად შობაა პირველი მსხვერპლი, გაღებული ერთარსება სამებისგან.

იმ ხიდის გასამრთელებლად, რომელიც ჩატყდა ადამის დაცემის შემდეგ, სამებას არ მოუხმია ანგელოზნი, არც მთავარანგელოზნი, არც ქერუბიმ-ერაბიმნი, ის არც ცაბაოთ უფლის სახით მოვლენია კაცობრიობას მტრისგან მიტაცებული კრავის გამოსახსნელად. არ განკაცებულა არც ერთი წევრი ზეციური იერარქიისა — თავისი შეძლებით ის ვერ შეისხამდა ხორცს, ხოლო თუ ღმერთი შეასხამდა ხორცს, მაშინ ის მხოლოდ ინსტრუმენტი თუ იქნებოდა სამების ხელში და არა ნებაყოფლობითი მსხვერპლი. არა ანგელოზი განაჩინა კაცობრიობის გადასარჩენად, არამედ ძე კაცისა, „რამეთუ ოდეს სადა ვის ჰრქუა ანგელოზთაგანსა: ძე ჩემი ხარი შენ და მე დღეს მიშობიე შენ?" (ებრ., 1, 5). ღმერთი უნდა მოსულიყო წუთისოფელში იმავე სისხლითა და ხორცით, როგორც მან თავად ადამი შექმნა. „ღმერთი დღეს გამოჩნდა ხორცითა... სრულიად შეიმოსს კაცებასა ჩვენსა..." ღმერთი უნდა შესულიყო თავის ქმნილებაში, არა პანთეურად, არამედ პიროვნულად, რათა გაეარა გზა ადამიანისა და განეცადა თავის თავზე ამ წუთისოფლის გაუტანლობა — მთელი „სისაძაგლე მოოხრებისა". გადაეტანა ყოველი განსაცდელი, რასაც კი საწუთრო უმზადებს ადამიანს — საფრთხე მოსპობისა ჩვილ ასაკში, ლტოლვილება უცხო ქვეყანაში, ურწმუნობა და უნდობლობა თვისტომთა მხრიდან („თვისთა თანა მოვიდა და თვისთა იგი არა შეიწყნარეს", ი. 1, 11), დევნილება, მიუსაფრობა, მოწაფის ღალატი, ერთგულთა სულმოკლეობა და ზურგშექცევა, უარყოფა, გვემა, შეურაცხყოფა, უსამართლო და სამარცხვინო სასჯელი ავაზაკთა გვერდით, სულიერი სიობლე უკანასკნელ წუთებში, როგორც აღმოხდა სულგამწარებით: „ღმერთო, ღმერთო ჩემო, რაჲსათვის დამიტევებ მე?" ამ უკიდურეს ყოფას მოჰყვა აღდგომა-ამაღლება, ხოლო დასაბამი ყოვლისა იყო შობა.

განხორციელება, ხორციელად შობა ღვთისა იმას ნიშნავს, რომ განკაცებულ ღმერთს, მის ხორცს უნდა ეტვირთა კაცთა მოდგმის ცოდვები და სიკვდილის გემოც, როგორც ცოდვის სასჯელისა, რასაც ვერ შეძლებდა ანგელოზის უსხეულმყოფელი სული, ზეციური იერარქიის რომელ უმაღლეს საფეხურზეც არ უნდა ყოფილიყო. განა ანგელოზის შუბლიდან იწვეთებდა სისხლის ოფლი — ნიშანი საკაცობრიო სატანჯველის ტვირთებისა, რისი მოწმეც შეიქმნა სამი მოციქული გეთსიმანიის ბაღში? მას უნდა დაეძლია სოფელი, რითაც მაგალითს მისცემდა თავის სისხლსა და ხორცს და აჩვენებდა მორჩილების ძალას, როცა კრავივით უხმოდ წავიდოდა იმის შესაწირავად, რაც სამების მეორე ჰიპოსტასმა ადამისგან მიიღო ანუ ჩვენი ხორციელება, რათა ყოფიერების უფრო მაღალ საფეხურზე აეტანა, როგორც ნათქვამია საშობაო იამბიკოში, რომ მან „შეწირა მამისა კაცებაჲ, რომელ ჩვენგან მიიღო, დასუა იგი საყდართა მარჯვენით სიმდიდრესა". და, საბოლოოდ, საფლავიდან აღმდგარიყო და მოკვდავ ხორცში მოეკლა სიკვდილი საყოველთაო მკვდრეთით აღდგომის საწინდარ.

„დღე დღესინდელი არის დღე ხსნისა", ამბობს ეფრემ ასური. ამ დღიდან იწყება მზის გაძლიერება, რაც წარმოგვიდგენს ხატს „სიმართლის მზის" ანუ ქრისტეს ძლევამოსილი შემოსვლისა ამ წუთისოფლად. ამ დღის ძალით ამბობს ქრისტიანი „ჩვენთან არს ღმერთი". როცა სასოებით უმზერს ქალწული მარიამის კალთაში მჯდარი **ემანუელის** სახეს.

**ზურაბ კიკნაძე**

---

# შობის დღესასწაული და „მოგვნი-მეფენი"

ქრისტეს შობა ოფიციალურ დღესასწაულად 336 წლის 25 დეკემბერს გამოცხადდა კონსტანტინე დიდის ზეობაში. ამიერიდან, აღდგომასთან ერთად, ეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დღესასწაულია მთელს საქრისტიანოში. საუკუნეთა მანძილზე აურაცხელი ლიტერატურული, ფერწერული თუ სამუსიკო ქმნილებაა მიძღვნილი ამ დღისადმი, განსაკუთრებულად საპატიო ადგილი მიეჩინა მას სახვით ხელოვნებაში. ჯერ კიდევ კატაკომბების მხატვრობიდან მოყოლებული, ღმერთის განკაცების საკრალური შინაარსის შემცველი ეს ხატი შუა საუკუნეებში მრავალგვარი ინტერპრეტაციის საგანი ხდება. თუ პირველ საუკუნეებში ქრისტეს შობა მარტივად გამოისახებოდა — ყრმა მაცხოვარი, ბაგაში, ხარი და სახედარი, უკვე V საუკუნის აქეთ მათთან ერთად გამოისახება მარიამი და იოსები, მწყემსები და მოგვები, ხშირად — განბანების ეპიზოდი. მრავალგვარობა ამ უმთავრესი საუფლო დღესასწაულის ხატისა ხილული დასტურია სადვთისმეტყველო აზრის ცხოველი მოძრაობისა ამ თემის ირგვლივ. ჩვენი ფიქრით, სწორედ მეფე-მოგვთა თაყვანისცემის მოტივი გაგვიხსნის უაღრესად საინტერესო თვალთახედვის კუთხეს ქრისტეშობის დღესასწაულის იდუმალი არსის დასანახად. ვინ არიან მოგვები, რომელნიც, მათეს სახარების მიხედვით, მოვიდნენ აღმოსავლეთიდან და თაყვანი სცეს ახალშობილ მეუფეს? მათ შესახებ უამრავი ლიტერატურული წყარო არსებობს. ღვთისმეტყველებაში დამკვიდრებულია აზრი, თითქოს მოგვნი განასახიერებენ წარმართ ერებს, რომელნიც ყრმა მაცხოვრის ხილვისას ქრისტიანებად მოიქცნენ „განეყენნენ კერპთმსახურებისა საცთურისაგან" (იადგარი). სახარება ჩვენ გვეულინება, როგორც უმთავრესი პუნქტი ამ დიდი სულიერი მოვლენისა და ყველაზე დაწინაურებულმა ხალხებმა კაცობრიობის ისტორიაში ხელი შეუწყვეს ამ მოვლენას. ირანული აპოკალიპტიკა და სპეკულაციები, ამასთან ბერძნული სული, პლატონური ესქატოლოგია, დიდი პლატონური ჰიმნი სულის მარადიული სამშობლოს შესახებ, ლოგოსის თეოლოგია და სტოას ეთიკა. ეთიკურ და რელიგიურ ცხოვრებაზე დაფუძნებული იდეალიზმი, რელიგიების მისწრაფება უნივერსალიზმისაკენ — ეს და კიდევ ზოგიერთი სხვა რამ წარმოადგენდა იმ ძღვენს, რომელიც სახარებისეულმა ერებმა მომავალ ქრისტიანობას მოართვეს. ამ დროს დატრიალებულ მოვლენებს თავისი იდუმალი წესრიგი და ლოგიკა გააჩნიათ, რომლებიც კაცობრივი განსჯისაგან განსხვავებულ სივრცეში არსებობს. აღმოსავლეთიდან ახალშობილი მაცხოვრის თაყვანსაცემად მოსულ მეფე-მოგვთა თემა თავისთავად გულისხმობს ძველ აღმოსავლეთში გავრცელებული სოტეროლოგიური მოლოდინის აღსრულებას. მოლოდინი მესიის ამქვეყნად მოვლინებისა გასდევს როგორც იუდეველთა, ასევე ძველი სამყაროს სხვა ხალხთა რელიგიურ ცნობიერებას. ამის დასტურია, მაგალითად, ზენდავესტა, სიბილას ესქატოლოგიური წიგნები, მითრაისტული ლეგენდები და ა. შ. ძველ აღთქმაში მესიის შობის წინასწარმეტყველებას თან ახლავს აღმოსავლელ მეფეთა მიერ ძღვენის შეწირვის მოტივი. „მეფეთა თარშისათა და ჰალაკთა ძღუენი შეწირონ მისა, მეფეთა არაბიასთა და საბაისთა ძღუენი მიართუან მას და თაყვანის-სცემდენ მას ყოველნი მეფენი ქუეყანისანი" (ფსალმუნი 71. 10-11). აგრეთვე ესაია: „მომღერელნი ოქროისა და გუნდრუკსა შესწირვიდნენ შენდა და ქვასა პატიოსანსა" (60,6). შემდგომ ეპოქაში კანონიკური თუ აპოკრიფული ხასიათის წიგნები ამჟღავნებენ მეტნაკლებად ზუსტ ცოდნას ძველ სამყაროში არსებული სოტეროლოგიური მოლოდინის შესახებ. ასეთია ქრისტეს ბავშვობის არაბული სახარება და ფსევდო-დიონისე არეოპაგელის VI ს-ის ასტროლოგიური ტრაქტატი, სადაც მაცხოვრის შობის მაუწყებლად გვევლინება ზოროასტრი; ასეთია სირიული აპოკრიფული წიგნი „განძთა ქვაბი", რომლის მიხედვითაც მეფე-მოგვებმა მესიის შობის წინასწარმეტყველება ამოიკითხეს „ნებროთის წიგნში" და ა. შ. ამავე ტექსტებიდან დგინდება მოგვთა სამშობლოს ადგილმდებარეობა. ეს უნდა იყოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის, აგრეთვე მესოპოტამია-ირანის რეგიონი, რომელსაც ქრისტიანი ავტორები ზოგჯერ სხვა სახელებსაც უწოდებენ: შებას ქვეყანას, შირის. სამღრთო გარდამოცემისთვის ეს მიწები იყო ნაცნობი და მახლობელი: ერთგან ეგულებოდათ მათ გარდასული ომებისა და ტანჯვის ასპარეზი, სხვაგან — ედემი და აბრაამის სამშობლო; აქვე არც თუ მცირე ხანი დაჰყვეს ებრაელებმა ბაბილონელთა ტყვეობაში, მესოპოტამელ იუდეველთა წრეში შეიქმნა ტობიასა და ესთერის წიგნები. იუდაურ რელიგიურ სისტემაზე ზეგავლენა მოახდინა ეგვიპტურმა და ძველ სპარსულმა ესქატოლოგიამ, კოსმოლოგიამ და კოსმოგონიამ. რაც შეეხება მოგვთა სახელებს, რომლებიც ქრისტიანულ სახვით ხელოვნებაში დამკვიდრდა — კასპარი, ბალთაზარი, მელქიორი — მოგვიანო წარმოშობისაა (VIII ს.). ქრისტიანი მწერლები სხვადასხვა სახელებით მოიხსენიებენ მათ. ერთი მოგვიანო გარდამოცემის მიხედვით, მათ ნათელ იღეს თომა მოციქულისაგან და მოწამეობრივად აღესრულნენ, მათი წმიდა ნაწილები კი კოლნის საკათედრო ტაძარშია დაცული.

მიუხედავად იმისა, რომ იყო ტრადიცია მოგვთა რიცხვის თორმეტამდე გაზრდისა, მათი რაოდენობა მაინც მკაცრად განსაზღვრულია (განსაკუთრებით მხატვრობაში). რადგან ქრისტიანული აზროვნების ძირითადი მახასიათებელია სამწევროვანი დაყოფა ყოველივესი, სამის ყველაზე სრულ რიცხვად მიჩნევა, რაც მომდინარეობს ღმერთის სამპიროვანი გააზრებიდან. მოგვთა გამოსახვისას მათი რიცხვის უნივერსალობა ყოველმხრივ ხაზგასმულია: ისინი განასახიერებენ ადამიანის სამ ასაკს, სამ უნარს (აზროვნება, გრძნობა, ნებელობა), კაცობრიობის სამ რასას და ა. შ. მათ მიერ შემოწირულ ძღვენს შეუსაბამებენ მაცხოვრის სამ ასპექტს: ოქრო — მეუფეს, მური — მკურნალს, გუნდრუკი — მღვდელმთავარს. ცვალებადია მოგვთა სახელები, მერყევია მათი რაოდენობა, ერთი რამ კი მუდამ უცვლელია: კერძოდ, დასახელება ძღვენისა — ოქრო, გუნდრუკი, მური. აი, რას მოგვითხრობს აპოკრიფული წიგნი „განძთა ქვაბი": მოგვთა მიერ შეწირული ძღვენი არის სწორედ ის ოქრო, გუნდრუკი, მური, რაც ედემიდან განდევნილმა ადამმა „შეკრიბა გარემოს სამოთხესა... და შთადო მისთანა ქუაბსა შინა". ძღვენი სიმბოლოა ღვთაებრივ ნიჭთა და მადლისა, რომელიც წილხვდა მსოფლიური დაბლობისკენ მომავალ ადამს და მის შთამომავლობას. მიუხედავად დაღმასვლისა, კავშირი ღვთიურსა და კაცებრივს შორის არ უნდა გაწყვეტილიყო. ამ მემკვიდრეობას უნდა მოეგონებინა ადამისთვის თავისი ზეციური წარმომავლობა. მოცემულ შემთხვევაში „რელიგია" გაიაზრება როგორც გახსენება პირველქმნილი, უცოდველი მდგომარეობისა. ოქროს, გუნდრუკის და მურის სახით ადამს „მიეცა მეფობა, მღდლობა და წინასწარმეტყველება". ეს განძი ადამის ცხედართან ერთად წარღვნისას ინახებოდა ნოეს კიდობანში, ხოლო შემდგომ სემის, ქამის და იაფეტის მიერ იქნა დაცული და აი, მოგვებმა შეიტყვეს მესიის დაბადება და მიართვეს მას განძი. ამით ძველ ადამს დაუბრუნდა თავისი პირველქმნილი, ცოდვით დაცემამდელი სახე, აღდგა ჭეშმარიტი „ხატი ღმრთისა". მამისეულ უფსკრულებში (ანუ გამოქვაბულში) შენახული განძი ძის, ლოგოსის ანუ „ახალი ადამის" საშუალებით დღის სინათლეზე უნდა გამოვიდეს, განახლებული კაცობრიობის სასიკეთოდ და მსახურებად. ამდენად „მოგვი" ამ შემთხვევაში აღნიშნავს არა ჩვეულებრივ მისანს, გრძნეულს ასტროლოგს, არამედ მეფეს, მღვდელმთავარსა და წინასწარმეტყველს.

ამ კონტექსტში ძლიერ საყურადღებო მონაცემებს გვაწვდის სახვითი ხელოვნების ნიმუშები. როგორც ცნობილია, მოგვთა გამოსახვისას ყოველ დეტალს სრულიად გარკვეული და მკაცრად განსაზღვრული შინაარსი გააჩნია. შიდა კაბა სამეფო ხელისუფლების ნიშანია, გარეთა მოსასხამი — სამღვდელოსი, ხოლო თავსაბური, — იგივე გვირგვინი, სიმბოლოა წინასწარმეტყველების, ნათელხედვის ნიჭისა. ზოგჯერ ის კოპისებრი წანაზარდის სახით გამოისახება.

იბადება ასეთი შეკითხვაც: ხომ არ არის ეს ნიშანი გამოსახულება იმ რქისა, ასე ხშირად რომ გვხვდება ძველაღთქმისეულ და ქრისტიანულ ტექსტებში? ბევრის მთქმელია ის ფაქტიც, რომ ლათინურ ენაში სიტყვები: გვირგვინი (კორონა) და რქა (კორნუ) ერთი ძირიდან წარმოსდგებიან, ხოლო ებრაული „კერენ" რქის გარდა სხივს, ნათებასაც აღნიშნავს. ბიბლიის წმ. იერონიმესეულ თარგმანში მოსე, სინას მთიდან დაბრუნებული, რქით მოსილი ევლინება თავის ერს, ქართულ თარგმანში კი იგივე ალაგას რქის ნაცვლად დგას სიტყვა „დიდებულებაი" (შდრ. გამოსვლათა, 34, 29) როგორც ჩანს რქა, იგივე რაც გვირგვინი თავისი პირვანდელი მნიშვნელობით, სიმბოლოა ძალაუფლების მეფური ქარიზმისა და განსაკუთრებული სულიერი ენერგიისა. მიქაელ მოდრეკილის ერთ ჰიმნში სწერია: „აღმაღლდების რქა ქრისტიანეთაი და განშუენდებიან გვირგვინნი მორწმუნეთანი". მეფის წარმოსახვა რქით ჩვეული მოვლენაა ძველ აღმოსავლეთშიც. ამაზე მეტყველებს ალექსანდრე მაკედონელის წოდება „ორრქიანად" (არაბ. „ზულ ყარნაინ") რაც სხვა არაფერია, თუ არა მინიშნება მის არაჩვეულებრივ ხელდასხმასა და სიბრძნეზე.

დღეს შობაა. როგორც არასდროს, ისე გვესაჭიროება დაფიქრება ამ უმნიშვნელოვანეს სულიერ მოვლენაზე, რათა თავისუფლების ზღურბლს მიახლოებულს მოგვეფინოს ნათელი, რომელიც ორი ათასი წლის წინათ გამოუბრწყინდა კაცობრიობას და რომელიც განანათლებს ბრძენ მეფეთა გონებას, ბეთლემის ვარსკვლავის სახით გაცხადებული.

**კონსტანტინე გამსახურდია**

**1990 წ. 25 დეკემბერი.**

---

# საშობაოდ

**იროდი** დრტვინავს, ჰბორგავს, სწყრება: „გასწყვიტეთ, ყრმანიო, — ერთს ნუ აცოცხლებთო, მოისვაროს იმათი სისხლით ქვეყანა, დედებმა იტირონ, გული შეუწუხდეთ, რომ ჰნახავენ ყელგამოჭრილს თავის შვილებს, არაფერი უშავს!.. ვინ დაიბადა დღეს!? ისიც იმათში მოჰყვება და მე მეფობას ველარ შემეცილებაო..." არ იწყის უბედურმა, რომ იმას ქვეყნის მფლობელად ტახტზე დაჯდომა არ უნდა ხელში ხმლით და სისხლიანის კალთებით; — იგი განგებამ სრულიად სხვა საქმისთვის დაჰბადა, რასაც მტარვალის გაყინული ტვინი ვერ მიჰხვდება, ვერ მისწვდება, — სხვა საქმისთვის, რომელიც დიდია და იროდისებრ მტარვალთა თვალ მიუწვდომელია. იმას უნდა აღადგინოს დაცემულნი, დავრდომილნი. იმას უნდა გაანათლოს, გააბრწყინოს დიდთა და მცირეთა გულ-გონება, რომ მათ შორის ჩამოაგდოს ძმობა და სიყვარული.

**ცოდვა გამრავლდა, ერი ჰკვნესის,**
**ცაზედ ვარსკვლავნიც სტირიან,**
**სად არის ქვეყნის მეშველი,**
**ავი ამოფხვრას ძირიან!?**

**ნათელი გვწყურიან, ნათელი,**
**მკვდარნიც საფლავში ჩივიან.**

ეს ნათელი საჭირო იყო, უნდა მოსულიყო, თვითონ ერი, თვითონ ქვეყანა, ქვეყნის გული ნატრობდა ამ ნათელს, რადგან უმრავლესობა იტანჯებოდა, ხოლო მცირეთ, ბედნიერთ სძულდათ ეს ნათელი, რადგან სინათლეში ქურდი ვერა ქურდობს ისე თამამად, როგორც ბნელაში: ეს ერთს, მივარდნილს, გამოქვაბულს კლდეში დაბადებული ყრმანათელია, იმას მომავალში ჯვარცმა მოელის, მაგრამ ნათელი ისევ ნათლად რჩება, მტარვალის ხელი სინათლეს ვერა ჰკლავს, ბოროტი კეთილს ვერა სთრგუნავს; დიაღ, დარჩა დღეს აქამომდე!

**ბოროტის დასათრგუნავად**
**ხელთ შეპყრობილის მეხითა.**

დღეს ეს ნათელი თვითონ იმ მტარვალთაც ანათლებს, აგებინებს, რომ სინათლე იმათთვისაც ღონეა და დავრდომილთათვისაც.

**„ივერია" № 275 25 დეკემბერი, 1890 წ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იასამანი

**გურამ პეტრიაშვილი.**

საღამო იყო.

ქალაქის პარკში ვიჯექი გრძელ სკამზე, საზურგეს მიყრდნობილი და ჩაფიქრებული.

ჩემს ზურგს უკან იასამნის დიდი ბუჩქი ყვაოდა. ტოტები გადმოხრილიყვნენ და ყვავილები მაფრქვევდნენ სურნელებას.

მოხიაბოლ, ფარნების შუქში მოლივლივე ზაფრანისფერ ბავშვები დარბოდნენ და კრიამულობდნენ. ხეებს ზემოთ კი ზორს ცა იყო გარსკვლავებით.

ჩაფიქრებული...

— კარგია, ხომ?! — მომესმა უცებ ვიღაცის ხმა.

თვალი გავახილე.

ჩემს სკამის ბოლოში მოხუცი კაცი იჯდა და მიღიმოდა.

— იასამნის სურნელით ტკბებოდით, ხომ?

— კი, — გამოვტყდი მე.

მოხუცმა ჩაიცინა, ახლოს გადმოიწია და მკითხა:

— როდესმე გიფიქრიათ, თუ ყველა ყვავილზე მეტად რატომ გიყვართ იასამანი?

— მე ხომ ჯერ არ მითქვამს ყველაზე მეტად მიყვარს — მეთქი.

— მაგას თქმა რად უნდა, ზედ გეტყობათ. აბა, ჰე, მითხარით, რატომ გიყვართ.

— ალბათ იმიტომ რომ ბავშვობიდან ყველაზე მეტად ეს ყვავილი მახსოვს.

— რატომ?

— რამდენიმე წელიწადს ძალუაჩემთან ვიზრდებოდი. სახლის წინ ბაღჩაში იასამანი გვედგა. გაზაფხულზე რომ აყვავდებოდა, ოთახში შემოდიოდა მისი სურნელი...

ჰო, კიდევ ის იყო, რომ ჩვენს სოფელში ქარი იცოდა ხშირად და იმის ცქერას არაფერი სჯობდა, ქარში რომ ირხეოდნენ დიდყვავილიანი ტოტები.

— მხოლოდ მაგიტომ გიყვართ?

— კიდევ... ვაჟკაცური ყვავილია. პატარა კი არაა და უმწეო. ძლიერია. შეგიძლია მიხვიდე, კი არ დაიხარო მისკენ, არამედ წელგამართული დადგე ბუჩქის პირისპირ და ისე იყნოსო მისი სურნელი. თითქოს სურნელით გესაუბრება ბუჩქი.

— მართლა ძალიან გყვარებია, — მითხრა მოხუცმა; — აბა ახლა ვნახოთ თუ იმასაც მეტყვი, რითაა იასამანი უცნაური,

დავფიქრდი, მაგრამ ვერ მივხვდი, თუ რას გულისხმობდა მოხუცი:

— არ ვიცი.

— იცი, მაგრამ ახლა ვერ იხსენებ, ისევ გამიღიმა მოხუცმა, —

— აბა კარგად დაფიქრდი, როგორია იასამნის ყვავილი?

თვალი დავხუჭე და იასამნის ყვავილს სახე მივუახლოვე.

— გაიხსენე? — მკითხა მოხუცმა ცოტა ხნის შემდეგ.

— კი, გამახსენდა... გრილია იასამანი.

— ყოჩაღ, გრილია. აბა ახლა მის ყვავილიან რტოს დააკვირდი. რასა ჰგავს ეს გრილი რტო?

თვალი გავახილე და რტოს შევაცქერდი.

დიდხანს ვუცქერდი.

მოხუცი ღიმილით მიყურებდა. მერე მითხრა:

— დაგეხმარები. ერთ სიტყვას შემოგაშველებ. ცეცხლი არ გახსენდება?

და მეც უმალ წამოვიძახე:

— ჩირაღდანსა ჰგავს!

მოხუცმა თავი დამიქნია:

— მართალია. თითქოს რაღაც სასწაულით უცებ გაყინულა აბრიალებული ჩირაღდანი. ჰოდა ვისაც უყვარს, სწორედ იმიტომ უყვარს, რომ გრძნობს: ამ უცნაურ ჩირაღდან-ყვავილში რაღაც საიდუმლოა ჩამალული....

და აი, რა მიამბო მოხუცმა.

ძალიან დიდი ხნის წინათ ჩვენს ქვეყანას მტერი შემოესია.

ლაშქარში ქუდზე კაცი გავიდა, მაგრამ ურიცხვი იყო მტერი და დაიპყრო ქვეყანა.

წელიწადი წელიწადს მისდევდა.

ხალხი შეეჩვია მონობას და თავჩახრილი მონის ცხოვრებით ცხოვრობდა.

მაგრამ ერთხელ ქვეყნის მთავარ ქალაქში უცნაური ბიჭუნა დაიბადა.

მისი უცნაურობა ის იყო, რომ სულ ჩიტებს უცქეროდა. არც ხმას იღებდა, არც ტოლებთან თამაშობდა. იდგა ხოლმე უკანთავგადაწეული და შეჰყურებდა ცასა და ჩიტებს.

გაიზარდა ბიჭუნა, დაჭაბუკდა.

და ერთხელ ქალაქგარეთ გორაკზე რომ იჯდა და კვლავ ჩიტებს შესცქეროდა უცებ საშინლად შეეკუმშა გული. ცას მოსწყვიტა მზერა და თავის ქალაქს გაჰხედა.

დიდხანს უცქეროდა.

მერე ცრემლით აევსო თვალები, ჩაიჩურჩულა: ვაი, შენ, ჩემო დამონებული სამშობლოო“ და აქვითინდა.

იწვა გორაკზე. საბრალობლად ჩაჰქვითინებდა მიწას.

და უცებ ხმა მოესმა:

— ადექ, ჭაბუკოო.

ჭაბუკმა აიხედა და დაინახა, რომ ციური შუქით გასხივოსნებული თეთრმოსასხამიანი ქალი იდგა მის წინ.

ჭაბუკი წამოდგა.

და უცებ სულ პატარა ბავშვად იგრძნო თავი, ისეთი დიდი და მაღალი იყო თეთრი ქალი.

ქალმა მხარზე დაადო ხელი და უთხრა:

— თავისუფალი ის ხდება მხოლოდ, ვისაც სწყურია თავისუფლება.

— მწყურია, მაგრამ ურიცხვია მტერი — მწარედ ამოიოხრა ჭაბუკმა.

— არის ერთი იარაღი, რომლის წინაშეც უძლურია სიმრავლე მტრისა.

— რა იარაღია ეგეთი?

— იმ იარაღს მშვენიერება ჰქვია სახელად.

— მშვენიერებაა იარაღი? — გაუკვირდა ჭაბუკს.

— ჰო, მშვენიერებო, ანუ ისეთი სილამაზე, რომელიც ერთდროულად თვალსაც ახარებს და სულსაც ასპეტაკებს, — უთხრა ქალმა მშვიდად და განაგრძო — აჰა, ჭაბუკო, აიღე ეს მარცვლები და ჩათესე მთელ ქალაქში.

— რა ამოვა ამ მარცვლებიდან?

— იმ მცენარეს სახელს მერე თვითონ დაარქმევს ხალხი.

— შენ... — დაიწყო ჭაბუკმა, მაგრამ მოერიდა და ველარ დაასრულა კითხვა.

— მე დედა ვარ შენი მიწისა, — უთხრა ქალმა, — კიდევ ერთხელ მნახავ. მოამზადე შენი გული იმ შეხვედრისათვის.

შეუდრეკლობა დაგვჭირდება.

მოვალ, როცა მიხვდები, რომ დროა ჩემი მოსვლისა.

— ნუ გეფიქრება, არ შეგარცხვენ, დედაო, ჩემი მიწისა — უთხრა ჭაბუკმა, დაიჩოქა და მოსასხამის კალთაზე ემთხვია.

ქალი გაქრა.

ჭაბუკმა წამოიღო ის თესლი და ყველგან დათესა.

მალე მთელ ქალაქში ამოიზარდა ლამაზი მწვანე ბუჩქები.

ყველას მოსწონდა ის ბუჩქები.

არც დამპყრობლებს უთქვამთ, გაჩეხეთო. ისინიც ხომ ადამიანები იყვნენ.

დამპყრობლები ქუჩებში კი არ დასდევდნენ ხალხს და კი არ ხოცავდნენ.

მონობა იმით იყო საზარელი, რომ ყველამ იცოდა, დამპყრობლის ნება-სურვილზე იყო, თუ როდის ვის რას წაართმევდა. თუნდა სიცოცხლესაც კი.

ყველაფერზე მეტად აუტანელი კი მაინც ის იყო ჩვენი ჭაბუკისათვის, რომ დროდადრო დასჭყივლებდათ ხოლმე რომელიმე დამპყრობელთაგანი: „ადამიანებს ვერდამსგავსებულებოო.“

ერთ საღამოს კვლავ რომ გაჰკრეს მუჯლუგუნი და ზედ დააყოლეს, ადამიანს ვერ დამსგავსებულოო, ჭაბუკმა მწარედ ამოიგმინა და მჯიღი ჩაირტყა მკერდში.

— დავემსგავსები — თქვა გულში — ადამიანივით თუ ვერ ვიცხოვრე, ადამიანად მოვკვდები მაინც.

წავიდა ჭაბუკი თავის გორაკზე, დადგა ლამაზი ბუჩქების წინ და დაიჩურჩულა:

— მოდი, დედაო, ჩემი მიწისა...

და იმავ წამს გაჩნდა თეთრმოსასხამიანი ქალი.

— რას გეუბნება გული? — ჰკითხა ქალმა ჭაბუკს.

— აღარ შემიძლია მონობაო — უპასუხა ჭაბუკმა.

— მაშინ მოუკიდე ცეცხლი შენს ბუჩქებს, რომ მთელ ქალაქში აბრიალდნენ ისინი. და ეს ხანძარი დაამარცხებს მტერს — ესა თქვა თუ არა ქალს ანთებული ჩირაღდანი გაუჩნდა ხელში.

— სულ ეგაა, რაც მევალება? — გაუკვირდა ჭაბუკს.

— ჰო, — ნაღვლიანად გაიღიმა ქალმა.

ჭაბუკმა გამოართვა ჩირაღდანი და ერთ ბუჩქთან მივიდა.

— არ ეკიდება, თქვა ცოტა ხნის შემდეგ.

— ეგრე არ მოეკიდება, შვილო, — უთხრა ქალმა და თვალთაგან ცრემლები წამოსცვივდა.

— რატომ ტირი? — ჰკითხა ჭაბუკმა.

და უცებ მიხვდა.

მიხვდა, მაგრამ არ შემდრკალა.

— ნუ ტირი, დედავ, მითხარი, როგორ უნდა მოვიქცე.

— მკერდში ჩაიკარი ჩირაღდანი, შვილო.

— ახლავე, დედავ, — მიუგო ჭაბუკმა, მიიკრა მკერდზე ჩირაღდანი და იმავ წამს თვით აბრიალდა დიდ ჩირაღდნად.

— ო, დედავ, იწვის ჩემი გული, მაგრამ უკვე თავისუფალი ვარ, — ჩაიჩურჩულა ჭაბუკმა, გაიწოდა ხელი და ცეცხლი მოედო ბუჩქებს.

— წამოდი, შვილო, — უთხრა ქალმა და ხელი ჩაჰკიდა.

ასცილდნენ მიწას და ერთად გაფრინდნენ სიბნელეში.

მიფრინავდნენ და რომელ ბუჩქსაც გვერდით გაუფრენდნენ წამსვე მოგიზგიზე კოცონად იქცეოდა ბუჩქი.

ასე შემოიფრინეს მთელი ქალაქი და საოცარით იმ ხანძრით გააჩირაღდნეს.

ხანძრის გუგუნზე ხმაურით გაიღო კარები და გამოცვივდნენ ქალაქის მცხოვრებნი.

ყველა გამოვიდა: დაპყრობილიც და დამპყრობელიც.

ჯერ ხანძარგაჩენილ ბუჩქებს შეჰხედეს, მერე, კი მაღლა აიხედეს.

და ყველამ ერთად დაინახა, როგორ მიფრინავდა ცისკენ სხივოსანი დიდი თეთრი ქალი, რომელსაც ცეცხლმოდებული ჭაბუკი ბავშვივით ჰყავდა მკერდში ჩაკრული.

დიდხანს უცქეროდნენ ცას განცვიფრებულნი.

და ბოლოს როცა გაქრა საოცარი ზმანება და ცას თვალი მოსწყვიტეს, უფრო დიდი საოცრება მიწაზე ნახეს:

უეცრად გაყინულიყო ცეცხლი და დიდრონ მოგრძო ყვავილებად დარჩენილიყო ბუჩქებზე.

და ისეთი ლამაზი სანახავი იყო იმ უცნაურყვავილიანი ბუჩქებით განათებული ქალაქი, რომ ყველას ერთად აღმოხდა ოხვრა, დამპყრობლებსაც და დაპყრობილებსაც.

მშვენიერებით გაოგნებულნი იდგნენ ყველანი.

მერე კი უცებ ამღერდნენ დაპყრობილები.

ამღერდა დიდიც და პატარაც, ქალიც და კაციც...

და სიმღერა ტკბილ გუგუნად წავიდა ცისკენ.

მღეროდნენ და ყვავილების შუქი გადასდიოდათ სახეზე.

დამპყრობლებისკენ აღარც კი გაუხედავს ვინმეს.

ხოლო ისინი ერთხანს იდგნენ დაბნეულები, შემდეგ კი ჩუმად, ფეხაკრეფით გავიდნენ ქალაქიდან.

ასე გათავისუფლდა ქვეყანა და ასე გაჩნდა დედამიწაზე იასამანი...

მოხუცმა დაამთავრა ამბავი, კვლავ გამიღიმა და მითხრა:

— აბა შეჰხედე, ხომ მართლაც ცეცხლშეყინულ ჩირაღდნებს უგავს ყვავილები ამ დალოცვილს...

მერე ჩაფიქრდა.

თითქოს ჩემი იქ ყოფნა დაავიწყდაო, ბოლთის ცემას შეუდგა და თან რაღაცას დუდუნებდა თავისთვის.

მერე, შედგა, შეჰხედა ბუჩქს და ისე თქვა, თითქოს მარტო მე კი არა მთელ ხალხს ეუბნებოდა:

— არა, გაყინული კი არაა იასამნის ცეცხლი, გარინდულია. დიახ, მეგობრებო, გარინდული ჩირაღდნებია იასამნის ყვავილები.

და ვინც კი სამტროდ მოსულა ჩვენთან, ყველას უგრძვნია შიში იასამნის წინაშე. უგრძვნია, რომ ამ მშვენებამ თუკი იფეთქა, ვერ გადარჩება ვერვინ მომხდური.

ერთხელაც გაჩუმდა მოხუცი. შემომხედა, თვალი თვალში გამიყარა, მერე ისევ იასამანს მიუბრუნდა და მკაცრად დაასრულა:

— ჩვენც იასამანსა ვგავართ, ქართველები. ლამაზები ვართ და ჩვენი სილამაზეც გარინდული ცეცხლია.

რა არის, მეგობრებო, ის ცეცხლი რაც ლამაზ ქართულ მზერაში სიტყვაში და სიმღერაშია გარინდული? ის ცეცხლი თავისუფლების სიყვარულია, ძლიერი და შეუპოვარი.

ჩვენს მშვენებაში ჩვენი ძალა გამოსჭვივის. ამიტომაც ყველაზე მეტად მომხდურთ ჩვენი სილამაზისა ეშინიათ.

ვიყოთ ქართველნო მშვენიერნი და ნუ გაიხაროს მტერმა ჩვენზედა!

კიდევ დიდხანს ლაპარაკობდა მოხუცი.

ქართველებისა და საქართველოს სილამაზეზე ვინ შესძლოს, რომ მოკლედ მოითავოს სათქმელი, ძმებო!

ახლა ჩემთან ერთად მას ბავშვებიც უსმენდნენ.

ბავშვები თვითონ მოვიდნენ, ხოლო მათ დედები მოჰყვნენ.

ვუსმენდით მოხუცს, ვუცქერდით იასამანს და დიდ-პატარას ცრემლი ჩამოგვდიოდა.

ვისაც უნდა ტრაბახში ჩამომართვას, მაგრამ ქართულ თვალთაგან ჩამომდინარი ის ცრემლებიც ლამაზი იყო და მშვენიერი!

# საშობაო ნაძვის ხე და საახალწლო ჩიჩილაკი

**25 დეკემბერი** (7 იანვარი) ქრისტიანულ დღეობათა კალენდრის ერთ-ერთი მთავარი და მნიშვნელოვანი თარიღია. ამ დღეს ქრისტიანული ეკლესია იესო ქრისტეს ხორციელად შობის დღესასწაულს აღნიშნავს. ქრისტიანული შობის დღესასწაული ქრისტიანობის შემოსვლისთანავე არ დაწესებულა.

პირველ საუკუნეებში აღმოსავლეთის ზოგიერთ ეკლესიაში (იერუსალიმის, ანტიოქიისა და კვიპროსის) ქრისტეს შობის დღესასწაული ნათლისღების დღესასწაულთან იყო გაიგივებული (611 19 იანვარი) და საერთო სახელწოდებით — „ღვთის განცხადებით“ აღინიშნებოდა. ქრისტეს შობის დღესასწაულის აღნიშვნა ღვთის განცხადებასთან ერთად აღმოსავლეთის ზოგიერთ ეკლესიაში IV საუკუნის ბოლომდე გრძელდებოდა, ხოლო ზოგან V და VI საუკუნეებამდეც კი.

დღესასწაული შობა, როგორც ასეთი, წეს-ჩვეულებად ჩამოყალიბდა ქრისტიანულ მეოთხე საუკუნეში. ითვლება, რომ პირველი ქრისტიანული შობა აღნიშნულ იქნა რომში 354 წელს.

შობას ისევე როგორც სხვა კალენდარულ დღესასწაულებს, რამდენიმე მთავარი მომენტი აქვს: მზადება დღესასწაულისთვის, თვითონ დღესასწაული და მისი დასასრული.

საქართველოში შობისათვის მზადება შობის წინა საღამოს იწყება და სხვადასხვა სახელითაა ცნობილი: „ქირსე საღამო“ ‖ „ქრისტეს საღამო“ (სამეგრელო), „მრავალწლობა“ (გურია), „კორკოტობა“ (იმერეთი, რაჭა), „ჭანტილობა“ (ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი), შობ (ზემო სვანეთი), ქრისტეს კორკოტობა (ქართლი), ფხოწაობა ‖ (ერწო-თიანეთი, გუდამაყარი), ყორბოულობა ღამე (ხევი) და სხვა.

შობის წინა საღამოსა და შობას, როგორც ახალი წლის დასაწყისს, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და, შესაბამისად, დატვირთული (დახუნძლული) იყო მრავალფეროვანი მაგიური ხასიათის წეს-ჩვეულებებით. ყველა ეს ჩვეულება მიმართული იყო ნაყოფიერების გასაზრდელად და ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად, ავი სულების დასაძლევად და, საერთოდ, კეთილდღეობის მოსაპოვებლად. ამის გამო არსებობდა მრავალი ალკვეთები, მკითხაობა, წინასწარმეტყველება, ალილოზე შემოვლის წესი და სხვა.

შობის წინა დღის მნიშვნელოვანი მომენტი იყო კერაში კარგი ცეცხლის დანთება, პურის მარცვლეულისაგან ფაფის მოხარშვა (რომელიც საქართველოში რამდენიმე სახელითაა ცნობილი: „ჭანტილი“, „კორკოტი“, „ცხრაწვენა“ და სხვა). რიტუალური პურების გამოცხობა („განატეხი“, „ტაბლა“, „ლვეძელი ‖ ღვეზელი“, „მუცლის სალოცავი პური“, „„ყორბოული“ ან იგივე „ქრისტეს პური“, „ქრისტეს ოხშამი“ და სხვა). საშობაო ღორის დაკვლა. საქართველოს ზოგიერთ კუთხეში საშობაო ღორი შობის დილას იკვლებოდა); „შობის შემოლოცვა“ მეალილეების მიერ ამავე საღამოს. „მეალილეები“ 3-4 ან მეტი კაცისაგან შემდგარი მგალობელთა ჯგუფი ე. წ. „ქრისტეს მახარობლები“ იყვნენ, რომლებიც კარდაკარ დაივლიდნენ ოჯახებს და ულოცავდნენ შობას მოკლე სიმღერით. მეალილეებს, როგორც ქრისტეს მახარობლებს, ყველა ოჯახი უმასპინძლდებოდა და ასაჩუქრებდა, მათი მოსვლა ოჯახში დიდ მადლად აღიქმებოდა. ამ დღეს საქართველოს ზოგიერთ კუთხეში წესად იყო ნათლულის ნათლიასთან მისვლა ძღვენით (ყვერულით ‖ დაკოდილი მამლით, ღვეზელით და კვერით). აღნიშნულის გარდა ამ დღეს იცოდნენ მოხარშული ჭანტილის ‖ კორკოტის ქაფის ეზოში გატანა და ყველა ხეზე წასმა (რაც ხის სიმბოლურ განაყოფიერებას წარმოადგენდა). ამგვარი მოქმედება, ხალხის რწმენით, მომავალ წელს უზრუნველყოფდა მოსავლით.

შობის დილას, ასევე, კარგი ცეცხლი ინთებოდა, დილით იცოდნენ ადრიანი საუზმე („ხაციცი“-ს „ჰამა ხარჯობ“-ის და სხვა სახელებით ცნობილი), რომელსაც გარეშე პირი ვერ დაესწრებოდა.

დღეისათვის შობის დღესასწაულის გარეგან სიმბოლოს მთელ მსოფლიოში „საშობაო ნაძვის ხე“ წარმოადგენს.

პირველი ცნობა საშობაო ნაძვის ხის შესახებ შუა გერმანიაში დასტურდება 1624 წელს. XVIII საუკუნეში იმავე გერმანიაში იგი მხოლოდ გარკვეულ ადგილებში აღინიშნებოდა და მხოლოდ XIX საუკუნიდან ითვლება საშობაო ნაძვის ხე შობის დღესასწაულის მუდმივ, ბედნიერ სიმბოლოდ და ვრცელდება მთელ მსოფლიოში.

ჩვენს ქვეყანაში ღირებულებათა ცვლის გამო ეს საყოველთაო საშობაო სიმბოლო ახალ წელს დაუკავშირდა, რითაც მან დაჰკარგა თავისი თავდაპირველი ფუნქცია და მნიშვნელობა.

ადამი გაძევებულ იქნა სამოთხიდან, მან თან წაიღო ცხოვრების ხის სამი მარცვალი—თესლი. ადამის გარდაცვალების შემდეგ სეთმა აიღო ეს სამი მარცვალი და დაფლა ადამის საფლავში, რის შედეგადაც ამოვიდა ხე. ამ ხის მერქნისაგან, ლეგენდის მიხედვით მრავალი რამ დამზადებულა. მათ შორის თითქოს და მოსემ თავისი კვერთხი გააკეთა, ხოლო მოგვიანებით ამავე ხისგან დამზადებულ იქნა გოლგოთის ჯვარი. აღნიშნული სამი მარცვალი სამოთხის ცხოვრების ხეზე ნოსტალგიად ითვლება. გოლგოთის ჯვრის ხეში კი შედიოდა ის, რაც ცხოვრების ხისაგან იბადებოდა, რაც მანიშნებელი იყო იმისა, რომ მშრალი, „მკვდარი“ ჯვრის ხე შეიცავდა ახალი სულიერი ცხოვრების მარცვალს.

ცხოვრების ხის ერთ-ერთ (მაგრამ არა ერთადერთ) ადგილობრივ ინსპირაციას საქართველოში საახალწლო ჩიჩილაკი წარმოადგენს. იგი მზადდებოდა ახალი წლის დღესასწაულის წინა დღეს ტყეში საგანგებოდ ამ შემთხვევისათვის მოჭრილი თხილის ხის ტოტისაგან. სახლში მოტანილ თხილის ტოტს ცეცხლზე ახურებდნენ და იწყებდნენ მის გათლას ისე რომ ხვიარა ბურბუშელები გამოსულიყო; ჩიჩილაკს თავზე გადაჯვარედინებული ჯოხები უკეთდებოდა ჰორიზონტალურად; მასზე ჰორიზონტალურადვე მაგრდებოდა ვაზის ტოტებისაგან დაწნული კალპი ‖ გვერგვი, რომელიც მორთული იყო სუროს მარადმწვანე ფოთლებით და ვერცხლის თხილის „ხვიხვლით“. ამის შემდეგ ჩიჩილაკს თავზე ჩამოაცმევდნენ ნახვრეტიან პურს—ბოყელს. ჩიჩილაკის ჯვარედინ ჯოხებზე ჩამოაცმევდნენ ცომისგან გაკეთებულ ვაშლისხელა ბურთულებს, რომლებსაც „ყვინჩილები“ ეწოდებოდათ, ხოლო დარჩენილი ორი ჯოხის ბოლოზე ბროწეულისა და ვაშლის (ან რაიმე სხვა ხილის), გარდა ამისა ჩიჩილაკზე ჰკიდებდნენ გაპუტულ შაშვს, რომელსაც ბუმბულები მხოლოდ კუდზეღა შერჩენოდა, ტკბილეულობას, ზოგჯერ სამკაულებს, ფერად-ფერად ბაბთებს და სხვა. ყოველივე ეს ნაყოფიერებისა და ბარაქიანობის სიმბოლოებად ითვლებოდა.

ახალი წლის დილას ოჯახის მეკვლე სხვა დანარჩენ მამაკაცებთან ერთად ჩიჩილაკით ხელში და საახალწლო ხონჩით (რომელშიც შედიოდა აუცილებლად მოხარშული ღორის თავი, ღომი, უმი კვერცხი, 1 დოქი ღვინო და სხვა) შემოივლიდა ეზოს, სამეურნეო ნაგებობებს, ვენახს, მარანს უფერხავდა ახალ წელს „ბედნიერი ფეხით“ და აზიარებდა ყველაფერს ამას ჩიჩილაკს, როგორც ნაყოფიერებისა და ბარაქიანობის სიმბოლოსთან. ამის შემდეგ თანმხლები მამაკაცებითურთ შინაური მეკვლე ბრუნდებოდა ოჯახში და მიულოცავდა ახალ წელს ოჯახის სხვა დანარჩენ წევრებს.

ამრიგად, ღრმა სულიერი იმპულსით ინსპირირებული საშობაო ნაძვის ხე, სულიერი მორთულობა შობისა და საახალწლო ჩიჩილაკი სიმბოლოებია ცხოვრების ხისა, რაც საუკუნების მანძილზე „ცხოვრობდა“ ადამიანებში.

**ნინო აბაკელია**

# საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

# დადგენილება

## სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულების შესახებ

**საქართველოს** რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, რომელიც გაეცნო სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულებას, მიაჩნია:

1. სსრ კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულება, რომელიც არ ცნობს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 11 დეკემბრის კანონის იურიდიულ ძალას, ანტიკონსტიტუციურია შემდეგ გარემოებათა გამო:

ა) საქართველოს რესპუბლიკის კანონის იურიდიული ძალის უარყოფა არ შეუძლია სსრ კავშირის ხელისუფლების არც ერთ ორგანოს, რადგან, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და სსრ კავშირის კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს რესპუბლიკა სუვერენული სახელმწიფოა და თავისი საზღვრების ფარგლებში ახორციელებს ტერიტორიულ უზენაესობას (საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 70-ე მუხლი და სსრ კავშირის კონსტიტუციის 78-ე მუხლი), რომლის ძალითაც რესპუბლიკის კანონები და სახელმწიფო ხელისუფლების სხვა აქტები განუხრელად უნდა შეასრულოს საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულმა ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანომ, საწარმომ, დაწესებულებამ და ორგანიზაციამ;

ბ) საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და სსრ კავშირის კონსტიტუციის თანახმად რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს უფლება აქვს გადაწყვიტოს ეროვნულ-სახელმწიფო მოწყობის ყველა საკითხი. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესმა ორგანომ ისარგებლა აღნიშნული უფლებით და გააუქმა თავის დროზე უკანონოდ შექმნილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, სადაც ამჟამად ექსტრემისტები და სეპარატისტები არა მარტო აშკარა დისკრიმინაციას უწევენ და ავიწროებენ იქ მცხოვრებ მკვიდრ მოსახლეობას, არამედ ცდილობენ საქართველოს მოსწყვიტონ ეს რეგიონი;

გ) სსრ კავშირის კონსტიტუცია ითვალისწინებს, რომ სსრ კავშირის უზენაესი საბჭო უფლებამოსილია დაამტკიცოს ახალ ავტონომიურ ფორმირებათა შექმნა (73-ე მუხლის მე-2 პუნქტი), ამ საკითხის გადაწყვეტა კი მოკავშირე რესპუბლიკის პრეროგატივაა (საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 72-ე მუხლის მე-3 პუნქტი).

ავტონომიური ოლქის გაუქმების ფაქტის დამტკიცების საკითხი არ დასმულა სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს წინაშე, ვინაიდან ამგვარი წესი არ არის გათვალისწინებული არც სსრ კავშირის კონსტიტუციით და არც საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით. „სსრ კავშირსა და ფედერაციის სუბიექტებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ" 1990 წლის 26 აპრილის კანონი, მთელი თავისი ანტიკონსტიტუციურობის მიუხედავად, ასევე არ ითვალისწინებს ავტონომიური ოლქის გაუქმების ფაქტის დადასტურებას.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭო ვალდებულია სსრ კავშირის კონსტიტუციის 87-ე მუხლიდან ამოიღოს დებულება საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ყოფნის შესახებ და ამით სსრ კავშირის კონსტიტუცია შეუსაბამოს იურიდიულ და ფაქტობრივ სინამდვილეს.

2. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო არ აკნინებს ეროვნებებისა და ხალხების თვითგამორკვევის უფლებას სახელმწიფოებრივი ერთეულის შექმნის ჩათვლით, ამასთან დაუშვებლად მიიჩნევს ამ უფლების გავრცელებას საქართველოში მცხოვრებ იმ ეროვნულ უმცირესობებზე, რომელთაც საკუთარი სახელმწიფოებრიობა აქვთ საქართველოს ფარგლებს გარეთ. საერთაშორისო სამართალიც კი, მათ ანიჭებთ მხოლოდ ეროვნულ-კულტურული ავტონომიის უფლებას და თანასწორუფლებიანობას ცხოვრების ყველა სფეროში (ადამიანის მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 27-ე მუხლი, ახლახან მიღებული პარიზის ქარტია ახალი ევროპისათვის და სხვა აქტები), რაც საქართველოში ყოველთვის იყო და არის უზრუნველყოფილი ყველა ერის წარმომადგენლებისათვის.

აღსანიშნავია ისიც, რომ ყოფილი ოლქის გარდა, სადაც 65 ათასი ოსი ეროვნების მოქალაქე ცხოვრობს, საქართველოს სხვა რაიონებში 100 ათასზე მეტი ოსი ეროვნების მოქალაქე სახლობს, რომლებიც ყველა სამოქალაქო და ეკონომიკურ-კულტურული უფლებებით სარგებლობენ.

3. მიუღებელია სსრ კავშირის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და პირადად სსრ კავშირის პრეზიდენტის პოზიცია, ვინაიდან ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს სეპარატისტულ მოქმედებათა მთელი დროის განმავლობაში, როდესაც მან მიიღო საქართველოს ტერიტორიული დაქუცმაცებისაკენ მიმართული აშკარად ანტიკონსტიტუციური აქტები (1990 წლის 20 სექტემბერსა და 16 ოქტომბერს), საკავშირო ორგანოებმა არავითარი ოფიციალური რეაგირება არ მოახდინეს, მხარი არ დაუჭირეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს და მის პრეზიდიუმს, რომლებმაც საოლქო საბჭოს მოქმედებანი არაკონსტიტუციურად გამოაცხადეს სწორედ სსრ კავშირის კონსტიტუციის ძალით, რასაც ასე ხშირად იშველიებს სსრ კავშირის პრეზიდენტი.

თუ სსრ კავშირის კონსტიტუციას ვერწმუნებით, კავშირისა და, უწინარეს ყოვლისა, სსრ კავშირის პრეზიდენტის ამოცანაა უზრუნველყოს სსრ კავშირის კონსტიტუციით განმტკიცებული მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა.

ხელისუფლების საკავშირო ორგანოები ფაქტობრივად აქეზებდნენ ოს სეპარატისტებს უკანონო ქმედებისათვის, 9 დეკემბერს უკანონოდ შექმნილ „რესპუბლიკაში" არჩევნები მოეწყო. ამ შემთხვევაშიც სსრ კავშირის პრეზიდენტმა, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა და თვით უზენაესმა საბჭომაც დუმილი ამჯობინეს.

სსრ კავშირის პრეზიდენტმა მხოლოდ მას შემდეგ მოახდინა რეაგირება, რაც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო იძულებული გახდა გაეუქმებინა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რომელიც ფაქტობრივად გაუქმდა ავტონომიური ოლქის საქართველოსაგან დამოუკიდებელ რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ საოლქო საბჭოს გადაწყვეტილებით.

საგულისხმოა, რომ რეგიონში საგანგებო მდგომარეობის შემოღება განაპირობა საკავშირო ორგანოების მიმნებებლობამ, რითაც ისარგებლეს ოსმა სეპარატისტებმა, ქ. ცხინვალში მოკლეს და დაჭრეს საქართველოს რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების რამდენიმე წარმომადგენელი, მიუხედავად იმისა, რომ იქ იმყოფებოდნენ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარები.

ექსტრემისტებმა, რომლებიც გრძნობენ ცენტრის მხარდაჭერას, წესად გაიხადეს თავდასხმა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებზე, რომელთაც ეკისრებათ საგანგებო მდგომარეობის პირობებში საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის ძირითადი ამოცანა, და მძევლებადაც აჰყავთ ისინი.

ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალები მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას ჩამოერთვათ იარაღი, რომელიც დიდი რაოდენობით დაუგროვდათ ალვირახსნილ ექსტრემისტებს.

ყოველგვარ მორალურ და იურიდიულ საფუძველს არის მოკლებული სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულების მოთხოვნა, რომლის თანახმადაც რეგიონიდან გაყვანილ უნდა იქნეს ყველა შეიარაღებული ფორმირება, გარდა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარებისა.

რეგიონში არ არის არავითარი „შეიარაღებული ფორმირებანი", გარდა ოსი ექსტრემისტებისა, რომლებიც სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების მიმნებებლობის გამო ნადირობენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებზე, რის თაობაზეც ბრძანებულებაში, რატომღაც, არაფერია ნათქვამი. მილიციის ქვედანაყოფები შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების შემადგენელი ნაწილია და პროფილაქტიკურ და ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებებს ახორციელებენ რეგიონში ვითარების სტაბილიზაციისათვის.

საგანგებო მდგომარეობის უზრუნველსაყოფად საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ძალების გამოყენება უშუალოდ არის გათვალისწინებული როგორც საქართველოს რესპუბლიკის, ასევე სსრ კავშირის კანონმდებლობით. ეს რესპუბლიკის ერთ-ერთი ძირითადი სუვერენული უფლებაა და ხელისუფლების არც ერთ საკავშირო ორგანოს, სსრ კავშირის პრეზიდენტსაც კი, არა აქვს უფლება შეზღუდოს რესპუბლიკის კომპეტენცია — წესრიგი დაამყაროს თავისი ტერიტორიის ფარგლებში, მით უმეტეს, რომ საგანგებო მდგომარეობის შემოღება მართლზომიერად ცნეს შესაბამისმა საკავშირო ორგანოებმა.

პრეზიდენტის ბრძანებულების ტრაგიკულმა შედეგებმა თავი იჩინა მისი გამოქვეყნებიდან უკვე რამდენიმე საათის შემდეგ. ამ აქტით გამხნევებული ადგილობრივი ექსტრემისტები თავს დაესხნენ საქართველოს რესპუბლიკის მილიციის მუშაკებს, არის მსხვერპლი.

ნიშანდობლივია, რომ ბრძანებულება, ერთი მხრივ, სადავოს ხდის საქართველოს რესპუბლიკის კანონს და მიუთითებს მთელი რიგი ღონისძიებების გატარებაზე, ხოლო, მეორე მხრივ, დუმილით უვლის გვერდს ე. წ. სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის სტრუქტურების ლიკვიდაციის აუცილებლობას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. დადასტურდეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 11 დეკემბრის „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის იურიდიული ძალა.

2. სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს წინაშე დაისვას სსრ კავშირის კონსტიტუციის 87-ე მუხლში შესაბამისი ცვლილებათა შეტანის საკითხი.

3. ცნობად იქნეს მიღებული, რომ სსრ კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულებამ უკანონოდ ცნო ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს მიერ მიღებული აქტები ე. წ. სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის შესახებ.

4. უკანონოდ იქნეს მიჩნეული ბრძანებულების მოთხოვნა რეგიონიდან საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის ქვედანაყოფთა გამოყვანის შესახებ, ვინაიდან ისინი საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებენ და საზოგადოებრივ წესრიგს იცავენ კანონმდებლობის შესაბამისად.

5. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა განაგრძონ „ქ. ცხინვალში და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 12 დეკემბრის დადგენილებით მათთვის დაკისრებულ მოვალეობათა შესრულება.

6. მიჩნეულ იქნეს სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულება საქართველოს რესპუბლიკის საშინაო საქმეებში უხეშ ჩარევად, მისი ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფად, რესპუბლიკისა და მისი ხალხის სუვერენულ უფლებათა უგულებელყოფად, რაც ნათლად გამოვლინდა საქართველოს რესპუბლიკის ოფიციალური სახელწოდების დამახინჯებაშიც: ბრძანებულებაში გამოყენებულია ძველი დასახელება — საქართველოს სსრ.

7. ხელისუფლების უზენაესობისა და ტერიტორიული მთლიანობის უხეში ხელყოფაა აუკრძალო დემოკრატიული წესით არჩეულ ხელისუფლების უზენაეს ორგანოს საკუთარი სამართალდამცავი ორგანოების მეშვეობით აკონტროლებდეს ქვეყნის ტერიტორიის გარკვეულ ნაწილს;

იმ შემთხვევაში, თუ რეგიონში განლაგებული სსრ კავშირის შინაგანი ჯარები ეცდებიან ძალის გამოყენებით დაატოვებინონ საქართველოს რესპუბლიკის სამართალდამცავ ორგანოებს აღნიშნული რეგიონი, ეს ქმედება შეფასებული იქნება, როგორც ცენტრის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ომის დაწყება;

ამ აქციის შესაძლო შედეგებისათვის მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ საკავშირო უმაღლეს ხელისუფლებას და პირადად სსრ კავშირის პრეზიდენტს.

8. ეს დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე**
**ზ. გამსახურდია**

**თბილისი. 1991 წლის 9 იანვარი.**

# ისევ საოკუპაციო ჯარისა და კოლონიური სტატუსის შესახებ



**გვესაუბრება უზენაესი საბჭოს დეპუტატი, კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის კომისიის წევრი**

**გიორგი გულბანი**

**— ბატონო გიორგი, რისი მომასწავებელია კოლონიის სტატუსი ჩვენთვის? ხალხი ვერ გარკვეულა, ესაა ბრძოლა სამართლიანობასა და უსამართლობას შორის, თუ ამის მიღმა იმალება რაიმე სამართლებრივი სტრატეგია.**

— ეს პირადად ჩემი აზრია მხოლოდ (და არა მრგვალი მაგიდის ან უზენაესი საბჭოსი), საბჭოთა იმპერიიდან თავის დაღწევის სამართლებრივი, მშვიდობიანი გზა ერთადერთი არსებობს: ესაა ევოლუციური გზა, რაც ყველასათვის ცნობილი ჭეშმარიტებაა. რა თქმა უნდა, განსხვავება ლიტვის გჭნმათავისუფლებელ მოძრაობას, ჩვენს მიერ არჩეულ გზასა და კონგრესმენების მოთხოვნებს შორის პრაქტიკულად არ არსებობს, ესაა მხოლოდ ტაქტიკური მნიშვნელობის სხვაობა. ევოლუციური გზა ყოველთვის გულისხმობს, რომ ქვეყნის ფაქტობრივი მდგომარეობა და მისი იურიდიული სტატუსი ევოლუციის პროცესში დანაცვლებულია (ან იურიდიული მდგომარეობა ასწრებს თავისუფლების მიმართულებით ფაქტობრივ მდგომარეობას, ან ფაქტობრივი მდგომარეობა ასწრებს იურიდიულ მდგომარეობას). ეს განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორებით. ის არჩევანი რომელსაც დაადგა ლიტვა, არის გზა, როდესაც იურიდიული სტატუსი საკმაოდ დაშორდა ფაქტობრივ მდგომარეობას. მათ გამოაცხადეს დამოუკიდებლობა იმ დროს, როცა მთავრობა ვერ ახორციელებს სუვერენიტეტს ლიტვის მთელ ტერიტორიაზე, რადგან სუვერენიტეტის განხორციელების უპირველესი ნიშანი არის საზღვრების დაცვა. ლიტვის ფაქტობრივ მდგომარეობასა და იურიდიულ მდგომარეობას შორის დიდმა დაშორებამ გამოიწვია ის წინააღმდეგობები, რომელიც დღეს ლატვასა და ცენტრს შორისაა. ლიტვის სტატუსი აღიზიანებს ცენტრს. ამასთან, ლიტვის ფაქტობრივი მდგომარეობა მოსკოვს აძლევს საშუალებას ითამაშოს იმაზე, რომ ეს მხოლოდ ფიქტიური დამოუკიდებლობაა. რუსის ჯარი რასაც მოისურვებს, იმას სჩადის ლიტვაში.

საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევანი ყველაზე უფრო რეალურია იმდენად, რამდენადაც დღევანდელი იურიდიული მდგომარეობა მაქსიმალურად ახლოა ჩვენს ფაქტობრივ მდგომარეობასთან. ძირეული დოკუმენტი, რომლის ძალითაც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ვართ (1922 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულება) საქართველოს მიმართ ვცანით უკანონოდ, მაგრამ არ გვიცნია ბათილად. ბათილად რომ გვეცნო ეს ხელშეკრულება, ჩვენ იურიდიულად აღარ ჩავითვლებოდით საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, ეს გამოიწვევდა ბევრ იმ უხერხულობას, რაც აქვს ლიტვას და დამატებითი პრობლემებიც გაგვიჩნდებოდა. ერთადერთი სამართლებრივი აქტი, რომელიც ასეთ შემთხვევაში განსაზღვრავდა ჩვენს იურიდიულ სტატუსს, იქნებოდა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება რუსეთ-საქართველოს შორის. რადგანაც დღევანდელი საბჭოთა კავშირი არის მამინდელი რუსეთის ფედერაციის მემკვიდრე სახელმწიფო, ჩვენს შორის ურთიერთობა უნდა დაამკვიდროს ამ დოკუმენტმა. აქ დგება უკვე ტერიტორიების საკითხი, რომელთა ნაწილი წაღებული აქვს რუსეთის ფედერაციას, ნაწილი თურქეთს, ნაწილი სომხეთს, ნაწილი აზერბაიჯანს. ცხადია, ბევრი უხერხულობა წარმოიქმნებოდა უკვე საერთაშორისო ხასიათისა, ეს არაა მარტო საბჭოთა კავშირთან ურთიერთობა, აქ ჩარეულია თურქეთიც და, რაც ყველაზე უფრო მტკივნეულია, კავკასიაში მყოფი ორი სახელმწიფო — სომხეთი და აზერბაიჯანი.

გზა, რომელსაც კონგრესი გვთავაზობს არის ცდა, რომ საქართველოს ფაქტობრივი მდგომარეობა მოვათავსოთ იმ თეორიულ-იურიდიულ მოდელში, რასაც ჰქვია კოლონია. ეს არის სურვილი, რომ რეალობა დავუქვემდებაროთ რაღაც თეორიულ მოდელს. მაგრამ, ჩემის აზრით, ეს ძალიან არაეკონომიური გზაა, რადგან რუსეთი, განსხვავდება ყველა აქამდე არსებული იმპერიისაგან. იდეოლოგიურად რუსულ-ბოლშევიკურ იმპერიას საფუძვლად უდევს ერთი დემაგოგიური მეთოდი, რომელიც სახელმწიფოებრივი მმართველობის უმთავრესი პრინციპის სახეს იღებს და მიუხედავად იმისა, რომ არსად ცხადი სახით დაწერილი არ ყოფილა, 70 წლის მანძილზე განსაზღვრავს საბჭოური პოლიტიკის არსს. მთელი ბოლშევიზმის ისტორია ამის დასტურია. ეს მეთოდი დამყარებულია ლოგიკის მეშვეობით დასკვნების გამოტანის შეუძლებლობაზე. ავიღოთ, თუნდაც, კონსტიტუცია და კანონები. ამოსავალი დებულებები ამა თუ იმ კანონისა ყოველთვის ურთიერთგამომრიცხველია. ეს სისტემაა და არა შემთხვევითობა. ერთსა და იმავე დოკუმენტში, წერილი იქნება ეს, კანონი, თუ რაიმე სხვა ნააზრევი აუცილებლად, სულ მცირე, ორი ურთიერთგამომრიცხველი დებულება გვხვდება. ასეთ შემთხვევაში შეუძლებელი ხდება ბოლშევიკ ოპონენტთან კამათი, რადგან მას შეუძლია ამ დოკუმენტზე კამათის დროს გამოიყენოს როგორც ერთი, ასევე მეორე არგუმენტი. ესაა ბაზისი იმისა, რომ ბოლშევიკებმა შექმნეს თაობები, პლეადა, ბრწყინვალე დემაგოგებისა. შესაბამისად, რუსეთის იმპერია, იურიდიულ-თეორიული კუთხით, დაფუძნებულია ასეთ დემაგოგიურ, ლოგიკას არდაქვემდებარებულ მეთოდებზე. როცა ვამბობთ, რომ რუსეთი არაკლასიკური იმპერიაა, თავისთავად იგულისხმება, რომ მას არ გააჩნია კლასიკური კოლონიები. არც შეიძლება გააჩნდეს, რადგანაც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალი ქვეყნების სახელწოდებაა საბჭოთა სოციალისტური **რესპუბლიკები, ანუ სახელმწიფოები.** რას ნიშნავს სახელმწიფოების ფედერაცია? ესაა სრული აბსურდი. სახელმწიფოების ფედერაცია არ არსებობს. არსებობს **სახელმწიფო წარმონაქმნების** ფედერაცია — იმიტომ, რომ სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ყველა ატრიბუტი სახელმწიფოებრიობისა, ანუ მის ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს სრული სუვერენიტეტი მთელს ტერიტორიაზე, იცავდეს თავის საზღვრებს და ა. შ. და ა. შ. ხოლო განახლებულ ფედერაციაში, რომელსაც ისევ გვთავაზობენ, საგარეო ურთიერთობები, თავდაცვისა და ეკონომიკის საკითხები ისევ ცენტრის ხელში რჩება. დავარქვათ ყველაფერს თავისი სახელი, ეს ხომ უკვე სახელმწიფო აღარ არის. კიდევ უფრო პარადოქსულია მდგომარეობა, რომელიც ეხება ავტონომიურ რესპუბლიკებს. სსრკ კონსტიტუციის მიხედვით ავტონომიური რესპუბლიკა არის სახელმწიფო და არა სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი. ესე იგი, რა გამოდის? საბჭოთა კავშირში არსებობს სამგვარი სახელმწიფო: ერთი დიდი, უნიტარულ-„ფედერაციული" სსრკ, ანუ რუსეთი, მეორე — მოკავშირე სახელმწიფოები, მესამე — ავტონომიები. ეს იმდენად ალოგიკური და აბსურდული სტრუქტურაა, რომ აქედან სამართლებრივი გამოსავლის ძიება უაზრობაა. მოთხოვნა, რომ საქართველო გამოვაცხადოთ კოლონიად, არაა მართებული. ჩვენ კოლონიად რუსეთი არ გვცნობს, იმიტომ, რომ ის ჩვენ გვეუბნება, თქვენ ხართ რესპუბლიკა, ხოლო თუ კოლონიად გვცნობს, ის გვეტყვის, რომ თურმე სახელმწიფოებრიობის დაკარგვა ჩვენი სურვილია და ამას სხვაგვარ იურიდიულ ფორმულირებას მოუძებნის. გამოდის, რომ ჩვენ აღარ გვინდა ვიყოთ საქართველოს რესპუბლიკა, ანუ ჩვენ გვინდა ვიყოთ რუსეთის შემადგენლობაში შემავალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, ესე იგი, ჩვენი ეს მოთხოვნა შეიძლება ჩვენს საწინააღმდეგოდ შემობრუნდეს და რადგანაც ამგვარი საშიშროება არსებობს, ამ გზაზე დადგომა, ჩემის აზრით, არაა მისაღები. ასეც რომ არ იყოს, კოლონიად გამოცხადებას წინ მთელი რიგი სამართლებრივი აქტები უნდა უძღოდეს. პირველ რიგში საბჭოთა კავშირმა თავისი თავი უნდა სცნოს იმპერიად, ამის შემდეგ უნდა დაიწყოს დეკოლონიზაციის პროცესი. დავუშვათ, რომ ეს ასეც მოხდა. რას აძლევს ეს საქართველოს? კოლონიის განთავისუფლება მთლიანად დამოკიდებულია მეტროპოლიის ნება-სურვილზე. დრო-შიც წავაგებთ, რადგანაც მთლიანად რუსეთზე იქნება დამოკიდებული ჩვენი დეკოლონიზაცია. საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით მეტროპოლიამ უნდა იზრუნოს კოლონიის სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისათვის, ესე იგი, ხელი უნდა შეუწყოს იმპერიაში შემავალ ხალხთა თვითგამორკვევას. იგულისხმება, რომ კოლონიურ ერებს არასდროს ჰქონიათ სახელმწიფოებრივი ცხოვრების გამოცდილება და ამიტომ მეტროპოლიამ ამაზე უნდა მოახდინოს რეაგირება. ამრიგად, ნებსით თუ უნებლიედ, ჩვენ ვდგებით საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს ისტორიის უარყოფის წინაშე. ეს უდიდესი შეცდომა იქნება, ჩვენი ნება-სურვილით უარვყოთ, წავშალოთ მთელი ჩვენი ისტორია.

**— ამ საკითხს პირდაპირ უკავშირდება საოკუპაციო ჯარის, ანუ იმ ჯარის საკითხი, რომელიც ახლა ჩვენთან დგას, საოკუპაციოს დავარქმევთ მას, თუ სხვა სახელს, ეს უკვე სხვა საკითხია. თქვენი, როგორც უზენაესი საბჭოს დეპუტატისა და როგორც საკანონმდებლო კომისიის წევრის კომენტარი ამ საკითხთან დაკავშირებით.**

—როგორც მოგახსენეთ, 1922 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულება საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ 1990 წლის მარტში სცნო უკანონოდ და არა ბათილად. იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირის ჯარს მივცეთ უცხო ქვეყნის ჯარის სტატუსი, ეს ხელშეკრულება უნდა გავაბათილოთ. ეს იურიდიული აქტი უნდა განხორციელდეს, რას მოგვცემს ეს, ამაზე უკვე ზემოთ ვილაპარაკეთ...

მაგრამ დავუშვათ, რომ ჩვენ მაინც ეს გზა ავირჩიეთ, 1922 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულება გავაბათილეთ და საბჭოთა ჯარი უცხო ქვეყნის ჯარად გამოვაცხადეთ (იმისდა მიხედვით, თუ როგორ მიმართებაშია ხელისუფლება ამ ჯართან, განისაზღვრება საოკუპაციოა ის, თუ მოკავშირე) აქ რამდენიმე ვარიანტი შეიძლება გათამაშდეს — თუ მოხდება მოლაპარაკება საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებასა და საბჭოთა კავშირის ხელისუფლებათა შორის და რუსეთი სცნობს ფაქტს საქართველოს საბჭოთა კავშირიდან მშვიდობიანი გასვლისა, მაშინ გვთხოვს სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე, რომ საქართველოში იყოს დისლოცირებული სსრკ-ს ჯარები, მაგრამ მოგვცეს გარანტიას რომ ეს ჯარები იქნებიან ჩაკეტილი სამხედრო ბაზებში და არც ერთი შეიარაღებული ჯარისკაცი საქართველოს ხელისუფლების ნებართვის გარეშე არ გამოვა ქუჩაში. ეს მიუახლოვდება ისეთ მდგომარეობას, როგორიც არის ევროპაში, სადაც დგას ნატოს ჯარები. ვარიანტი მეორე: საბჭოთა კავშირმა არ სცნო ჩვენი სახელმწიფოებრიობის აღდგენის აქტი და არც მოლაპარაკებაზე წამოვიდა ჯარის დისლოკაციის პრობლემებთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ეს არის საოკუპაციო ჯარი და ჩვენი ოკუპაცია გრძელდება 1921 წლის 25 თებერვლიდან, ეს არის 70 წლიანი ოკუპაცია. ეს იურიდიული ნაბიჯები უნდა გადაიდგას, რომ ჩვენ მივიდეთ ამ ჯარის საოკუპაციო ჯარად აღიარებამდე. დგება მეორე საკითხი, რამდენად აუცილებელია დღეს ამ ნაბიჯის გადადგმა? პირადად ჩემი აზრით, ნაადრევია; ჩვენ გვჭირდება გარკვეული დრო, გარკვეული მოქმედებების ჩატარება, როგორც იურიდიული, ასევე ფაქტობრივი. რაც უფრო სწრაფად მოვახდენთ იმპერიული მანქანის დაშლას საქართველოში და მთელი სახელმწიფო ხელისუფლების საქართველოს უზენაესი ხელისუფლებისადმი დამორჩილებას, მით უფრო გაგვიადვილდება ამ მდგომარეობის იურიდიულად დაფიქსირება. თუ გადავდგამთ ისეთ იურიდიულ ნაბიჯს, რომელიც დაშორებული იქნება ფაქტობრივ მდგომარეობასთან, უფრო ძლიერ დაწოლას მივიღებთ ცენტრიდან. ეს არის ტაქტიკის საკითხი.

ჩაიწერა
**ირმა კახნიაშვილმა**

# ზოგიერთი მოსაზრება საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალ პერიოდში სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების შესახებ

1. საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებია რაიონული, საქალაქო, ქალაქების რაიონული, დაბისა და სოფლის შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები.

2. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ირჩევა 5 წლის ვადით.

3. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უფლებამოსილნი არიან განსახილველად მიიღონ და გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა საკითხი, რომელიც მათ გამგებლობას განეკუთვნება არსებული კანონმდებლობის საფუძველზე.

4. ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიული დონე შეიძლება იყოს სოფელი, დაბა (რაიონი), ქალაქი (ქალაქის რაიონი).

5. ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის ძირითადი რგოლებია არჩევითი ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოები, რომლებიც წარმართავენ და კოორდინაციას უწევენ ადგილობრივი თვითმმართველობის მთელი სისტემის საქმიანობას თავიანთ ტერიტორიაზე.

6. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს სათავეში უდგანან არჩეული თავმჯდომარეები.

7. რაიონული, საქალაქო და ქალაქების რაიონული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაობას წარმართავენ არჩეული თავმჯდომარეები, მუდმივმოქმედი კომისიები და მათდამი დაქვემდებარებული აღმასრულებელ-განმკარგულებელი კორპუსი, ხოლო სოფლებსა და დაბებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაობას წარმართავენ არჩეული თავმჯდომარეები, ადმინისტრაციული ჯგუფი; ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხის შემსწავლელი დროებითი კომისიები.

8. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების განმკარგულებელ-აღმასრულებელ ორგანოებს ავტონომიურ ოლქში, რაიონში, ქალაქში, ქალაქის რაიონებში წარმოადგენენ არჩეული მუდმივმოქმედი კომისიები და მათზე დაქვემდებარებული აღმასრულებელი კორპუსი, ხოლო დაბებსა და სოფლებში თავმჯდომარეები და ადმინისტრაციული ჯგუფი, რომელთა უფლებამოსილება განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სტატუტით.

9. ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების წარმომადგენლობითი რგოლები ქმნიან განმკარგულებელ-აღმასრულებელ ორგანოებს მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინებით.

10. ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების ტერიტორიული დონეების კოორდინაცია ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხის გადაწყვეტისას განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ურთიერთშეთანხმებით (თავიანთი) მათი სტატუტის საფუძველზე არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით.

11. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ეფუძნებიან რა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას, კანონმდებლობას, სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებებსა და თავიანთ სტატუტს, წარმართავენ მმართველობას მათდამი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე შემდეგი პრინციპებით:

ა) პასუხისმგებლობა ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა საკითხის გადაწყვეტისას.

ბ) ამ ტერიტორიის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების უზრუნველყოფა;

გ) ამ ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მიერ კანონმდებლობისა და გარემოს დაცვის უზრუნველყოფა და კონტროლი;

დ) მოსახლეობის სოციალური, კულტურული, საყოფაცხოვრებო და სხვა პირობების გაუმჯობესება;

ე) ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა მოქალაქეთა უფლება-თავისუფლების დაცვა-რეალიზაცია.

ვ) მართლწესრიგის დაცვა სამართალდამცავი ორგანოების მეშვეობით.

12. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაობასა და უფლებამოსილებას განსაზღვრავს მათი სტატუტი, რომელიც განსახილველად უნდა წარედგინოს უზენაეს საბჭოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თავმჯდომარეების მიერ.

იმ შემთხვევაში თუ უზენაესი საბჭო გადაწყვეტს, რომ სტატუტი არ შეესაბამება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას, სხვა საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე აქტებს, მაშინ სტატუტი ეგზავნებათ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს თავმჯდომარეებს უზენაესი საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებითა და მასალებით.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს უფლება ეძლევათ გადაწყვეტილების მიღებიდან 120 დღის ვადაში წარუდგინონ უზენაეს საბჭოს სტატუტის ვარიანტი.

იგივე ნორმები ვრცელდება სტატუტში ნაწილობრივ ცვლილებასთან დაკავშირებით.

13. ძირითადი სტატუტის მიღებამდე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაობას წარმართავს უზენაესი საბჭოს მიერ შემუშავებული დროებითი სტატუტი.

14. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სტატუტს სესიაზე ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

15. ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოები თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში ქმნიან პირობებს, რათა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებმა ყოველმა მოქალაქემ განახორციელოს სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში მონაწილეობის კონსტიტუციური უფლება.

16. ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიული დონეები ერთიანდებიან რეგიონებად, ქმნიან რა ტერიტორიულ ერთეულს.

17. რეგიონების სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს წარმოადგენენ შესაბამისი რეგიონების მმართველი ორგანოები.

18. რეგიონების მმართველ ორგანოებს ქმნიან დანიშნული თავმჯდომარეები და საინსპექციო კორპუსები.

19. რეგიონების თავმჯდომარეების დანიშვნა უზენაესი საბჭოს უფლებამოსილებას განეკუთვნება.

20. საინსპექციო კორპუსებს ქმნიან რეგიონის თავმჯდომარეები უზენაესი საბჭოს მუდმივმოქმედ კომისიათა რეკომენდაციის საფუძველზე.

21. რეგიონის მმართველობის ორგანოები, ეფუძნებიან რა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას, კანონმდებლობას, სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებებს, წარმართავენ მმართველობას მათდამი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე შემდეგი პრინციპებით:

ა) გაატარონ უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული ყველა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტი რეგიონის ტერიტორიაზე თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

ბ) ხელი შეუწყონ ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ განვითარებას რეგიონის მთელ ტერიტორიაზე.

გ) პასუხისმგებლობა რეგიონალური მნიშვნელობის ყველა საკითხის გადაწყვეტისას.

დ) რეგიონის მთელ ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მიერ კანონმდებლობისა და გარემოს დაცვის კონტროლი.

ე) კოორდინაცია გაუწიოს და აკონტროლოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ურთიერთშეთანხმებით მიღებული დადგენილებები და ხელშეკრულებები.

ვ) თვალყური ადევნოს ნებისმიერი რანგის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ მიღებული დადგენილებებისა და ხელშეკრულებების გატარებას რეგიონის მთელ ტერიტორიაზე.

ზ) კოორდინაცია გაუწიოს და უზრუნველყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაობა მათი სტატუტის შესაბამისად.

თ) რეგიონის მთელ ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა მოქალაქის უფლება-თავისუფლების დაცვა-რეალიზაცია.

ი) საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური უფლებებისა და მართლწესრიგის დაცვა სამართალდამცავი ორგანოების მეშვეობით.

22. რეგიონის მმართველი ორგანოები რეგიონის მთელ ტერიტორიაზე დამოუკიდებლად ახორციელებენ თავიანთ უფლებამოსილებას და ექვემდებარებიან მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს.

**მანანა არაბიძე,**
**ეროვნულ-ლიბერალური კავშირი;**
**ირაკლი იმერლიშვილი.**

# საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირის განცხადება

**საქართველოს** უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონის მე-19, 24-ე, 26-ე და 28-ე მუხლების შესაბამისად საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში წევრის დანიშვნის უფლება ჰქონდათ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულ პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ დასაშვები იყო არჩევნებში მონაწილე ამა თუ იმ პარტიის მიერ კომისიის წევრად დანიშნულიყო როგორც ნებისმიერი პოლიტიკური ორგანიზაციის (თუნდაც მოწინააღმდეგე პარტიის) წევრი, ასევე უპარტიო. ცხადია, ამ საკითხში გადამწყვეტი იყო ნდობის მომენტი და არა ფორმალურად პარტიულობა.

ასეთ ვითარებაში საქართველოს ეროვნულ-ლიბერალურმა კავშირმა, ისევე როგორც საარჩევნო ბლოკის „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს" წევრმა სხვა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა, შეძლებისდაგვარად, თითქმის ყველა საოლქო და საუბნო კომისიაში დანიშნა კომისიების წევრები ბლოკში გაერთიანებული პარტიების ადგილობრივი ორგანიზაციების წევრთა წარდგინებით კომისიებში დანიშნული წევრების პარტიულობის მიუხედავად.

ამ ადამიანებმა უმძიმესი და უძნელესი შრომა გასწიეს და უზრუნველჰყვეს რუსეთის კომუნისტური იმპერიის ისტორიაში პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნების უმაღლეს დონეზე ჩატარება. ყოველგვარი გაზვიადების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ეს ღვაწლი გამორჩეულად ფასეულია საქართველოს უახლეს ისტორიაში და გვინდა კიდევ ერთხელ უღრმესი მადლობა მოვახსენოთ მათ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ვგრძნობთ რა ერთგვარ უხერხულობას, თავს მაინც ვალდებულად ვთვლით განვმარტოთ ერთი გარემოება, რაც, როგორც სჩანს, გარკვეულწილად, გაუგებრობამ წარმოშვა. კერძოდ, ცნობილი გახდა, რომ საქართველოს რესპუბლიკის რამდენიმე რეგიონში საარჩევნო კომისიებში ჩვენს მიერ დანიშნული წევრების ინიციატივით შეიქმნა საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირის ფილიალები. ამის შესახებ კავშირის გამგეობისთვის დღემდე არ მიუმართავს არც ერთ ფილიალს, ამასთანავე კავშირის წესდება არ ითვალისწინებს ასეთი სტრუქტურული ერთეულის შექმნის შესაძლებლობას (კავშირი აერთიანებს თანამოაზროვნე პიროვნებებს და არა პიროვნებათა ჯგუფებს), ხოლო კავშირში ახალი წევრების მიღება დროებით შეჩერებულია 1990 წლის 3 ნოემბრიდან.

აქედან გამომდინარე, ჩვენ დაბეჯითებით ვთხოვთ ზემოაღნიშნულ პიროვნებებს შეაჩერონ თავიანთი საქმიანობა საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირის სახელის გამოყენებით. კავშირში ახალი წევრების მიღებისა და კავშირის სტრუქტურის საკითხები უახლოეს მომავალში იქნება განხილული.

**საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირის გამგეობა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გამოხმაურება

**ვერასოდეს** წარმოვიდგენდი, თუ მრგვალი მაგიდის გაზეთი, „თავისუფალი საქართველო", თავის ისტორიულ პირველ ნომერში ჭეშმარიტად ღირსეული პიროვნების, ბატონ მერაბ მამარდაშვილის გვერდით აუგად მოხსენიების პატივს მეც დამდებდა! ჩემი წერილის, „ორი აქციის თაობაზე", დაბეჭდვის გამო დაწუნებულ იქნა გაზეთ „ქართული ფილმის" „საბჭეც". კაცია და გუნება, ვის რა მოსწონს! „ქართულ ფილმს" კი მართლაც გააჩნია თვისი გამორჩეული სახე: განსხვავებით სხვა რესპუბლიკური გაზეთებისაგან, რომლებიც „ეროვნული" აქტივისტების მხრიდან შეიარაღებული თავდასხმის შიშით ათრთოლებულნი უარს ამბობენ მათთვის არასასურველი წერილების დაბეჭდვაზე, ეს პატარა გაზეთი ათასგვარი უსიამოვნებისა და დიდი რისკის ფასად (გაიხსენეთ, თუნდაც, გაზეთის სტამბის დარბევა!) ნებისმიერ პიროვნებას აძლევს საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალებას.

ვინაიდან „თავისუფალი საქართველოს" კორესპონდენტი ქალბატონი არგუმენტებს არაფრად დაგიდევთ და ჩემს მიერ მოშიმშილეთა აქციის უარყოფითად შეფასების, ხოლო „ქართული ფილმის" მიერ ამ შეფასების დაბეჭდვის მიზეზს ჯიუტად სხვა რაღაცაში ეძებს, მისთვის დამატებითი ახსნა-განმარტებების მიცემა ზედმეტად მიმაჩნია) ან კი რა უნდა ავუხსნა ადამიანს, რომელიც აქციის ორი მონაწილის მიერ უვადო, ე. ი. სიკვდილამდე, შიმშილობის შეწყვეტის საპატიო მიზეზად მათი „ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას ასახელებს", და ამდენად, ამ ვითარების აბსურდულობასაც კი ვერ ხვდება!).

ამჯერად არც კორესპონდენტთან მოსაუბრე მოშიმშილეთა დაუწყობელი აზრების განხილვას შევუდგები (დღეს ამისი დრო ნამდვილად არ არის), მხოლოდ ერთი მათგანის, მრგვალი მაგიდის მიერ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ ემზარ გოგუაძის განცხადებას შევეხები: მისი თქმით, მე, თურმე, „არავითარი მორალური და ზნეობრივი (უკაცრავად, რა განსხვავებაა? მ. მ.) უფლება „არ მქონია, მოშიმშილეთა აქცია უარყოფითად შემეფასებინა (უარყოფითად არაო, თორემ დადებითად შეფასება რატომღაც არ დამიშალა!)

ვფიქრობ, ამგვარი განცხადების ავტორი თავად საჭიროებს საკუთარ უფლება-მოვალეობებში გარკვევას (მით უმეტეს, რომ იგი ხელისუფლებაზე პრეტენზიის მქონე პიროვნება ბრძანდება). მომავალმა დეპუტატმა უნდა იცოდეს, რომ მას, განურჩევლად მისი პირადი შეხედულებებისა — იზიარებს თავად ჩემს მოსაზრებას თუ არა — სწორედაც რომ „არავითარი მორალური და ზნეობრივი „უფლება" არა აქვს საქართველოში მცხოვრებ მოქალაქეს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ჩემეული შეფასების ხმამაღლა გამოთქმა აუკრძალოს!

**მაგდა მჭედლიძე**

**2/XI-1990 წ.**

**რედაქციისაგან: როგორც წერილიდან ჩანს, ქ-ნი მაგდა მჭედლიძე შეუშფოთებია იმას, რომ ბ-ნ ემზარ გოგუაძეს მისთვის აუკრძალავს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მისეული (ქალბატონ მაგდასეული) შეფასების ხმამაღლა გამოთქმა. ვერ გავიზიარებთ ქალბატონის შეშფოთებას. აკრძალვა აქ არაფერ შუაშია. ბატონმა ემზარ გოგოუძემ თავს უფლება მისცა უარყოფითად შეეფასებინა პოლიტიკურ პროცესთა ავტორისეული ანალიზი. ამისი უფლება მას, ცხადია, ჰქონდა მორალურიც და ზნეობრივიც. ისევე როგორც, თავის მხრივ, ქალბატონ მაგდას ჰქონდა სრული უფლება თავისი აზრი გამოეთქვა თბილისში იმხანად მიმდინარე შიმშილობის აქციების შესახებ და ეს ფაქტი „აკრძალვად" არავის მოუნათლავს. რედაქციას აინტერესებს, რატომ ეძრახვის ბატონ ემზარ გოგუაძეს სხვისი მოქმედების შესახებ საკუთარი აზრის ქონა, მაშინ როცა ვინმე სხვას, თუნდაც, ქალბატონ მაგდა მჭედლიძეს იგივე არ ემტყუნება.**

**რაც შეეხება ზრდილობიან შეკითხვას — რა განსხვავებაა მორალსა და ზნეობას შორის, შევეცდებით განვუმარტოთ ფილოსოფოსთა თაყვანისმცემელ ქალბატონს — მორალი ქცევის კონკრეტულ ნორმებს გულისხმობს, რომელნიც არეგულირებენ ურთიერთობებს ადამიანსა და საზოგადოებას შორის. სხვადასხვა ქვეყანას, რელიგიას, ეპოქას, წრეს, საზოგადოებას სხვადასხვა მორალი შეიძლება ჰქონდეს. არსებობს ქრისტიანული მორალი და კომუნისტური მორალი, შუასაუკუნეობრივი და ჰუმანისტური, მდაბიური და არისტოკრატიული მორალი და სხვა. ზნეობა კი გაცილებით ფართო მნიშვნელობის მომცველი ცნებაა. იგი ზეეპოქალური, ზედროითი, ზოგად საკაცობრიო ფასეულობათა გამაერთიანებელი კატეგორიაა, რომელიც ეპოქიდან ეპოქაში უცვლელი სახით გადადის და ყველაზე ძნელ დროსაც კი ინარჩუნებს კატეგორიული იმპერატივის ხასიათს.**

**და ბოლოს, „კორესპონდენტი ქალბატონის" მისამართით გამოთქმული პრეტენზიის თაობაზეც მოგახსენებთ — „თავისუფალი საქართველოს" ხსენებულ პუბლიკაციაში ვკითხულობთ: „მაგდა მჭედლიძემ შესაშური „სიბრძნით" ნაკარნახევი დარიგებები მიაწოდა როგორც აქციის მონაწილეებს, ასევე მკითხველთა აუდიტორიას" (№1. 23 ოქტ.). როგორც ჩანს, ქ-ნი მაგდა დააბნია და შეცდომაში შეიყვანა ამ წინადადებაში სიტყვა „ნაკარნახევის" ხმარებამ და მან იფიქრა, რომ სხვისი „სიბრძნით" ნაკარნახევ დარიგებებზე იყო ლაპარაკი. უნებლიე შეცდომის მიზეზი უთუოდ ისიც გახდა, რომ ქალბატონ მაგდას, ალბათ, წარმოუდგენლად მიაჩნია საკუთარი მენტალური შესაძლებლობების ეჭვის ქვეშ დაყენება და მან ვერ დაუშვა, რომ ბრჭყალებში ჩასმული სიტყვა სიბრძნე სწორედ მისი მისამართით იყო ნათქვამი.**

---

### გარდასულ დღეთა ქრონიკა

# დამოუკიდებელი საქართველო და ინგლისის დიპლომატია

**სტატია დაფუძნებულია ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს აქამდე ჩვენთვის უცნობ დოკუმენტებზე („დოკუმენტს ონ ბრიტიშ ფორინ ფოლისი", ლონდონი, 1962 წ.).**

25 აგვისტოთი დათარიღებულია უორდროპის ბოლო დეპეშა. იგი მოითხოვს ქართველებისათვის დახმარების აღმოჩენას. ამავე დროს გამოთქვამს რწმენას, რომ ისინი შეძლებენ თავის დაცვას, თუკი აღმოუჩენენ გარკვეულ დახმარებას. მისი აზრით, ამიერკავკასიისადმი ინგლისის მიერ თანადგომის გაუწევლობა ზიანს მიაყენებს მის პრესტიჟს და მისსავე ინტერესებს აზიაში.

1920 წ. 13 სექტემბერს ამიერკავკასიაში ინგლისის მთავრობის ახალი წარმომადგენელი მოევლინა სტოქსის სახით. ცხადია, სათანადოთ დარიგებული, რომ შეესრულებინა ინგლისის მთავრობის დავალებები.

სტოქსისადმი განკუთვნილ დარიგებაში არის მეტად საგულისხმო პუნქტი: ინგლისს სურს საქართველოს და სხვა რესპუბლიკების დამოუკიდებლობა, მაგრამ ინგლისს შეუძლია მხოლოდ მორალური დახმარება გაუწიოს საქართველოს და ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკებს, ისიც იქამდე, ვიდრე ისინი ანტიბოლშევიკურ პოზიციას ადგანან. სხვა დახმარებაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო.

სტოქსი უორდროპთან მუშაობდა გარკვეული დროის განმავლობაში, აშკარად მისი იდეების გავლენის ქვეშ მოექცა და, როგორც მის მიერ ლონდონში გაგზავნილი დეპეშები მეტყველებენ, საქართველოს მიმართ წინამორბედის პოზიციას იზიარებდა.

1920 წ. 5 დეკემბერს სტოქსი აგზავნის დეპეშას, რომლიდანაც კარგად ჩანს, რომ სომხეთის გასაბჭოების შემდეგ სიტუაცია ამიერკავკასიაში აშკარად შეიცვალა. საქართველო ფაქტობრივად მარტო აღმოჩნდა ბოლშევიზმის წინაშე. მისი განცხადებით საქართველოში ბოლშევიკურ პროპაგანდას არა აქვს წარმატება. ამიტომ ქართველებს განზრახული აქვთ მტკიცედ დაიცვან დამოუკიდებლობა, მაგრამ განიცდიან იარაღისა და ნავთის ნაკლებობას. ასეთი ვითარება საქართველოს ძნელ მდგომარეობას უქმნის. სტოქსი დარწმუნებულია იმაში, რომ საქართველოსადმი დამოკიდებულება ინგლისმა უნდა გადასინჯოს და შემწეობა აღმოუჩინოს მას. თუ ამის გაკეთებას არ ვაპირებთ, მაშინ არ უნდა ჩავდგეთ ფარისევლების პოზაში და ქართველებს ტყუილი არ ვაკადროთ, სჯობს ვუთხრათ მწარე სიმართლე, — აცხადებს სტოქსი. მისივე აღიარებით, ინგლისის უარყოფითი დამოკიდებულება ერთა ლიგაში საქართველოს მიღების თაობაზე საკმაოდ მრავლისმეტყველია. სტოქსი დარწმუნებით აცხადებს: ძალიან მალე გახდება საქართველო ბოლშევიკური შემოტევის ობიექტი, ამიტომ დრო არ ითმენს და დახმარების გაწევა საჭიროა დაუყოვნებლივ დავიწყოთ.

ერთი გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ინგლისის საგარეო საქმეთა უწყებაში სტოქსის და უორდროპის გარდა კიდევ იყვნენ ისეთები, ვინც საქართველოსადმი გარკვეულ ინტერესს ამჟღავნებდნენ.

1920 წ. 4 დეკემბერს ინგლისის მთავრობის წარმომადგენელი ერთა ლიგაში ლორდი ბალფური ჟენევიდან მიმართავს კერზონს: „ქვეკომისიაში განიხილეს ახალი სახელმწიფოების ერთა ლიგაში მიღების საკითხი. აქ გამოითქვა აზრი, რომ საქართველო ნამდვილად არის ძველი სახელმწიფო და როგორც ისტორია გვიჩვენებს მას შესწევს თავისი საზღვრების დაცვის უნარი. სპარსეთი მხარს უჭერს მის ერთა ლიგაში დაშვებას, ვინაიდან საქართველო მდებარეობს დასავლეთ ევროპიდან სპარსეთისაკენ მიმავალ გზაზე. საქართველოს ერთა ლიგაში მიღება სომხეთისათვის დახმარების გაგზავნის საშუალებას იძლეოდა".. და ბოლოს, ავტორი კერზონს მიმართავს თხოვნით: შეატყობინოს, ხომ არ შეიცვალა მისი უარყოფითი დამოკიდებულება საქართველოს ერთა ლიგაში შესვლის საკითხთან დაკავშირებით.

კერზონის პასუხი (1920 წ. 10 დეკემბერი) მეტად ლაკონიური იყო. საგარეო საქმეთა სამინისტრო ადგას იმ აზრს, რომ ადრეა საქართველოს ერთა ლიგაში მიღების საკითხის დაყენება. ამ აზრის არსში სტოქსი უფრო ზუსტად რომ ჩაწვდარიყო, კერზონი აგზავნის დეპეშას (1920 წ. 15 დეკემბერი): საქართველოს ბედისადმი ინგლისი არაა გულგრილი და მომხრეა მისი დამოუკიდებლობისა, მაგრამ მთელ მსოფლიოში იმდენი საზრუნავი აქვს, რომ წინასწარ ვერ განსაზღვრავს რა პრაქტიკული დახმარების გაწევას შესძლებს. ამიტომ საქართველო საკუთარ ძალებს უნდა დაეყრდნოს.

სტოქსი არ ყრის მაინც ფარ-ხმალს და 1921 წლის 20 იანვარს აგზავნის დეპეშას, რომელშიც ზუსტად ჩამოთვლის საქართველოსათვის საჭირო იარაღის ნაირსახეობასა და რაოდენობის ნუსხას. შემდეგ სტოქსი წერს: საქართველო არ დაიხევს უკან და დამოუკიდებლობისათვის თავგამოდებით იბრძოლებს, რაზეც მეტყველებს საქართველოში გამეფებული ანტიბოლშევიკური განწყობა და მის განკარგულებაში მყოფი საკმაო სამხედრო რეზერვიო. ამასთანავე, მისი მტკიცებით, დახმარებას მორალური სტიმულის მიცემის ეფექტი ექნება.

11 თებერვალს, ინტერვენციის დაწყებამდე ერთი დღით ადრე, ინგლისიდან მოვიდა ცნობა საქართველოს დე იურედ ცნობის შესახებ. რა იყო ეს? დაგვიანებული გამოფხიზლება, თუ ნაბიჯი, რომელიც ინგლისს არაფერს არ ავალებდა, მაგრამ რესპექტაბელურობის, პატარა ხალხების დამცველის პოზის დაკავების საშუალებას იძლეოდა. როგორც ვიცით, სტოქსის მონაცემებით ინგლისმა იცოდა თებერვლის შუა რიცხვებში რა მზადდებოდა საქართველოში შესაძლებელია ცნობის თარიღი ისე შეარჩიეს ინგლისელებმა, რომ ამ აქტს უკვე არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არ ჰქონოდა და მხოლოდ მორალური მხარდაჭერის ფორმას მიიღებდა.

ეს მოსაზრება შესაძლებელია სუბიექტური იყოს. ერთი რამ კი ცხადია: დოკუმენტები გვიჩვენებენ, თუ რა რთულ პოლიტიკურ ვითარებას ჰქონდა ადგილი 1917-1921 წ.წ. და ამიტომ. საჭიროა ჩვენი და უცხოური არქივების მასალებში ღრმად ჩაწვდომა, რასაც მეტად აქტუალური მნიშვნელობა აქვს იმ თვალსაზრისით, რომ ახალ სიტუაციაში ძველი ილუზიები უარვყოთ და შეცდომები არ გავიმეოროთ.

მაგრამ, ისევ დავუბრუნდეთ პოლკოვნიკ სტოქსს, რომელიც ბოლო მომენტამდე ცდილობდა საქართველოსადმი რაიმე დახმარების უზრუნველყოფას.

1921 წ. 23 თებერვალს, როცა საქართველოში ჯერ კიდევ მიმდინარეობდა ბრძოლები, იგი იტყობინება: ქართველები ყველაფერს აკეთებენ თავდაცვისათვის. ჯარში მოვიდა ბევრი მოხალისე, მაგრამ აღჭურვილობა არა აქვთ. თუ სწრაფად არ გაეგზავნებათ იარაღი, რეზერვის გამოყენება შეუძლებელი გახდებაო. სტოქსი იმედოვნებს, რომ „ინგლისი დაეხმარება საქართველოს მის ვაჟკაცურ ბრძოლაში, რომელიც აღფრთოვანებას იწვევს". მაგრამ დახმარება არ ჩანდა.

1921 წ. 25 თებერვალს ასეთ ემოციურ შეტყობინებაზე ინგლისის მთავრობა გულგრილად პასუხობს. ჩვენ ვუთანაგრძნობთ საქართველოს, მაგრამ იგი საკუთარ ძალებს უნდა დაეყრდნოს. მისი მძიმე მდგომარეობა იმითაც არის განპირობებული, რომ ჩვენი რჩევა ყურად არ იღო და ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკებთან ძალების კონსოლიდაცია არ მოახდინაო.

საქართველოს დამარცხების შემდეგ ინგლისში დაბრუნებული სტოქსი ადგენს მოხსენებით ბარათს, რომელიც ცხელ გულზე კი არ არის დაწერილი, არამედ მოვლენათა დასრულებიდან გარკვეული ხნის გავლის შემდეგ. შესაძლებელია მოხსენებაში ბევრი ფაქტი არაზუსტია, მაგრამ იგი საყურადღებოა იმ მხრივ, რომ მათ გადმოგვცემს მოვლენათა თვითმხილველი ინგლისელი დიპლომატი (მოხსენება შემოკლებული სახით არის წარმოდგენილი, მაგრამ სტოქსის სტილი შენარჩუნებულია):

„11 თებერვალს მოულოდნელად შეტევაზე გადმოვიდნენ რუსული და სომხური ჯარები, რომელთაც ეკავათ ბორჩალოს მაზრის ნაწილი, რაზეც პრეტენზიას სომხეთი აცხადებდა და ამიტომ ეს ტერიტორია ნეიტრალურ ზონად ითვლებოდა. იმავდროულად დაიწყო ანტიქართული აჯანყება იმ რეგიონში მცხოვრები მალაკნებისა და სომხებისა, რომელთა შორის მანამდე უკვე ტარდებოდა ბოლშევიკური აგიტაცია. ბრძოლა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, ზოგან ქართველები გადადიოდნენ შეტევაზე. ქართული ჯარები კარგად იბრძოდნენ, განსაკუთრებით ძნელი ბრძოლა გაიმართა თბილისის მისადგომებთან. ქართული ჯარები ახერხებდნენ მეტოქის უკუგდებას, საკმაოდ ბევრი რაოდენობის იარაღისა და ტყვეთა ჩაგდებას. ასე რომ, ქართულმა ჯარებმა კარგი ბრძოლისუნარიანობა გამოავლინეს მაგრამ ამ თვალსაზრისით გვარდია მათ ბევრად ჩამორჩებოდა. ჯარში ასევე გამოჩნდა ათასობით მოხალისე, მაგრამ მთავრობას არ ჰქონდა იარაღის გადაცემის საშუალება.

24 თებერვალს ბოლშევიკები განაგრძობდნენ შეტევას თბილისის მთელ ფრონტზე, თუმცა მიზნის მიღწევა მაინც ვერ შეძლეს, მაგრამ შემდეგ მოხდა მოულოდნელი რამ, ერთმა ქართველმა ოფიცერმა სარდლობას გამოუგზავნა შეტყობინება, თითქოს მტრის კავალერიამ ზურგში შეღწევა შეძლო. ამან გამოიწვია თბილისის ევაკუაციის გადაწყვეტილება, რაც ბოლშევიკებისათვის სასიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა. საქმე ისაა, რომ ეს მანევრი განახორციელა ბოლშევიკთა მცირერიცხოვანმა შემადგენლობამ, რომელიც სერიოზულ საფრთხეს არ წარმოადგენდა. მაგრამ, მიუხედავად თბილისის დატოვებისა, ბრძოლა მაინც გრძელდებოდა, თუმცა ჯარების ფსიქოლოგიურ განწყობას გაუარესება დაეტყო. ქართულ ჯარში გავრცელდა შეხედულება, რომ უცხოეთის დახმარების გარეშე წინააღმდეგობის გაწევას აზრი აღარ ჰქონდა. ამის მიუხედავად, არ ყოფილა შემთხვევა, რომ ქართველი ჯარისკაცები გადასულიყვნენ ბოლშევიკების მხარეზე. მოსახლეობის რწმენა ანტიბოლშევიკური დარჩა". სტოქსი ამით ამთავრებს: „ქართველების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ შეზღუდული საშუალებებით დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის თავგანწირული ბრძოლა გამართეს".

დასავლეთში აღფრთოვანებით აღიქვამენ ინგლისელი მწერლის ორუელის წინასწარგამჭვრეტ უნარს, რომელმაც იწინასწარმეტყველა ის მრავალი უბედურება, რაც ევროპას მოუტანა ტოტალიტარიზმმა. მაგრამ არსებობდნენ არა ნაკლებ შორსმხედველი ინგლისელებიც, რომლებიც ამას მასზე ადრე ვარაუდობდნენ. მაგალითად, თავის დროზე უორდროპი ერთერთ დეპეშაში წერდა, რომ ბათუმის დაკავება ბოლშევიკური ძალების მიერ ადგილობრივი მოსახლეობის გარკვეული ნაწილისათვის რეალურ საშიშროებას ქმნიდა. უფრო დაუფარავად წერდა ინგლისელი ადმირალი დე რობეკი, რომელსაც მიაჩნდა, რომ ბათუმში იმ ძალთა შეჭრა, რომლებიც კლასობრივ ბრძოლას ქადაგებდნენ, გამოიწვევდა მოსახლეობის გარკვეული ნაწილის სრულ მოსპობას. ფრიად დამახასიათებელია სტოქსის ერთი შენიშვნაც საქართველოს დაკავებას ტოტალიტარიზმის ძალთა მიერ მოჰყვება არნახული რეპრესიები, რომლის პასუხისმგებლობა შავ ლაქად გაჰყვება ინგლისელთა სინდისსაც, რამეთუ ამ უკანასკნელთ არ მოინდომეს ამ ქვეყნის დახმარება.

დემოკრატიის პირველი ყლორტების დაუცველობა იწვევდა ანტიჰუმანურობის ზეიმს — კვებავდა იმ ნოყიერ ნიადაგს, რომელიც ტოტალიტარიზმის ბაცილებს ამრავლებდა, ხელს უწყობდა ევროპელი ხალხების წინააღმდეგობის გაწევის უნარის დასუსტებას. სწორედ ამ პოლიტიკის ჭრილში მოჩანდა ოსვენციმის, გულაგის კონტურები. ბერლინის კედლით გაყოფილი ევროპა, სიძულვილის უპრეცედენტო გაღვივება ცივი ომის ციებცხელებაში, ტანკები ვარშავის, ბუდაპეშტის და პრაღის ქუჩებში. ევროპის თავზე გაშლილი ამერიკის ბირთვული ქოლგა რომ არა, სავსებით შესაძლებელია, რომ ევროპელებს დაეუფლებოდათ ისეთივე განცდა, როგორიც თბილისის მცხოვრებლებს თებერვლის იმ სუსხიან დღეს.

პოლიტიკაში ბუმერანგის თავისებური კანონი მოქმედებს. თუ ბოროტება ერთ ადგილზე არ აილაგმება, ის სხვა ადგილზეც ამოყოფს თავს, ჩაითრევს სხვებსაც, გააფართოვებს მოქმედების არეალს, შეაღწევს ყველა კუნჭულში, ადამიანის სულშიც კი. ეს კარგად განიცადა თავის თავზე ინგლისმა. მან გამოიარა კოვენტრის ტრაგედია, დიუნკერკის კატასტროფა, სუეცის გამო დამცირება. მეფე ლირის მსგავსად, ომის შემდეგ მან დაკარგა ყველაფერი, უწინარეს ყოვლისა ტერიტორიები, პრესტიჟი, დიდი სახელმწიფოს სტატუსი, იქცა ევროპის პერიფერიად, რაღაც 51-ე შტატად. და მხოლოდ ახლა, ამერიკის დახმარებითა და თეტჩერის უნარიანი მოქმედებით, იწყებს აღორძინებას.

ეს ყველაფერი კი შედეგია იმისა, რომ ინგლისმა დროულად ვერ შეძლო უკვე დრომოჭმული იმპერიული, ვიწრო ეგოისტური აზროვნების დაძლევა, სამწუხაროდ, ზოგიერთმა თანამედროვე პოლიტიკოსმა ჯერ კიდევ ვერ აითვისა ისტორიის ეს მწარე გაკვეთილი.

**ნოდარ ბაბუაშვილი**

---

დასასრული. დასაწყისი იხ. „თავისუფალი საქართველო" № 5

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვაცლავ ჰაველი

# წერილი გუსტავ ჰუსაკს

## ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, პატივცემულ ბატონ დოქტორ გუსტავ ჰუსაკს

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 2, 3, 5

**ასეთი** ტიპის შემოქმედება, რა თქმა უნდა, მუდამ უფრო დიდი რაოდენობით მოიძევებოდა. აქამდე ჩვენთან მაინც ყოველთვის არსებობდა ჭუჭრუტანა, საიდანაც საზოგადოებამდე აღწევდა შემოქმედება, რომელშიც, შეიძლება ითქვას, ასე თუ ისე იჟონებოდა უფრო აუთენტიკური თვითშემეცნება. მართალია, ასეთი სახის შემოქმედებას არასოდეს არ ჰქონია ადვილი გზა — მისგან თავს იცავდა არა მარტო საზოგადოებრივი ხელისუფლება, არამედ მოხერხებული და ინერტული პირობითი შემეცნებაც, მაგრამ აქამდე ყოველთვის, რაღაც იდუმალი დახლართული და იშვიათად კი პირდაპირი გზებით მაინც აღწევდა ადამიანებამდე, საზოგადოებამდე და იქ კულტურის საზოგადოებრივ-თვითშეგნებით ფუნქციას ასრულებდა.

ეს არის და ეს. ეს მიმაჩნია მე უმნიშვნელოვანესად, მაგრამ სწორედ ის მოახერხა თანამედროვე მთავრობამ — და იმის დამტკიცებაც შეიძლება, რომ ეს პირველად მოხდა ჩვენი სახალხო აღორძინების შემდეგ — რომ თითქმის სრულიად შეუძლებელი გახადა იგი: ისეთი დახვეწილია დღეს კულტურის ბიუროკრატიული პყრობის სისტემა, ისე სრულყოფილადაა არის იგი ინფორმირებული ყველა ჭუჭრუტანაზე, საიდანაც შეიძლება გამოჟონოს სამყაროში უმნიშვნელოვანესმა ნაწარმოებმა, ისე ძლიერ ეშინია ამ ჯგუფს, რომელმაც თავის ჯიბეებში დაახვავა ყველა კარის ყველა გასაღები, მთავრობისა და კულტურისა.

უეჭველად ხვდებით, რომ ამჟამად ვლაპარაკობ არა ნაწილობრივ ან მთლიანად აკრძალულ შემოქმედთა მრავალგვერდიან „შავ სიაზე“, არამედ ბევრად უფრო საშინელ სიაზე — „თეთრ სიაზე“, რომელშიც აპრიორულადაა შეტანილი ყველაფერი, რამაც შეიძლება გაიელვოს ორიგინალური აზრით, გამჭრიახობით, გულახდილობის მაღალი დონით, ორიგინალური იდეით, სუგესტიური ფორმით — ვლაპარაკობ ყოველივე შინაგანად თავისუფლის დაპატიმრების ბრძანებაზე, მაშასადამე, — კულტურულობაზე, ამ სიტყვის ღრმა მნიშვნელობით. მე ვლაპარაკობ **კულტურის დაპატიმრების ბრძანებაზე,** რომელიც თქვენმა მთავრობამ გასცა.

ეს კვლავ ბადებს კითხვას, რომელსაც აქ თავიდანვე ვსვამ: მაინც რას ნიშნავს ყოველივე ის სიღრმეში? საით მივყავართ? რა დღეში ჩააგდებს ეს საზოგადოებას?

ისევ მაგალითს მივმართავ: როგორც ცნობილია, ჩვენთან შეწყვიტა გამოსვლა აქამდე არსებული კულტურული ჟურნალების უმრავლესობამ; ხოლო თუკი რომელიმე მაინც დარჩა, ისეა გაუფერულებული, რომ არც ღირს მისით თავის შეწუხება.

რა დაემართა მათ?

ერთი შეხედვით სულაც არაფერი: საზოგადოება განაგრძობს არსებობას ყველა იმ ლიტერატურული, სამხატვრო, თეატრალური, ფილოსოფიური, ისტორიული და სხვა ჟურნალების გარეშეც, რომელთა რაოდენობაც თუმცა არც მათი არსებობის პერიოდში პასუხობდა საზოგადოების შინაგან მოთხოვნილებებს, მაგრამ ისინი არსებობდნენ და თავის როლს ასრულებდნენ. რამდენ ხალხს აკლია დღეს ეს ჟურნალები? მათ რამდენიმე ათეულ ათას აბონენტს, ანუ საზოგადოების ძალიან მცირე ნაწილს.

მიუხედავად ამისა, საქმე ეხება უსასრულოდ ღრმა და მნიშვნელოვან დანაკარგს, ვიდრე ეს შეიძლება რაოდენობრივი თვალსაზრისით მოგვეჩვენოს. ამ დანაკარგის ჭეშმარიტი მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, ისევ დაფარულია და ძნელია მისი გამოხატვა რაიმე ზუსტი მონაცემებით.

ასეთი ჟურნალების ძალადობით ლიკვიდაცია — ვთქვათ, რევიუსი თეატრის სახით — არა მხოლოდ მკითხველების გაღარიბებაა და არც მხოლოდ მკაცრი ჩარევა თეატრალურ კულტურაში, არამედ ამასთანავე და უპირველეს ყოვლისა ეს საზოგადოების გარკვეული თვითშემეცნებელი ორგანოს ლიკვიდაციაა და როგორც ასეთი, უეჭველად რაღაც ძნელად აღსაწერი ჩარევაა ნივთიერებათა ცვლის რთულ ციკლში, რომელიც ასულდგმულებს იმ მრავალშროვან ორგანიზმს, რომელსაც თანამედროვე საზოგადოება წარმოადგენს, იმ ბუნებრივი პროცესის დინამიურობის გაუკუღმართებაა, რომელიც ამ ორგანიზმში მიმდინარეობს, მისი მრავალფეროვანი ფუნქციების გაწონასწორებული ჰარმონიის დარღვევა, რომელიც შეესაბამება მის მიერ მიღწეული საფეხურის შინაგან სტრუქტურულობას და ისევე, როგორც გარკვეული ვიტამინის უკმარისობამ — რომელიც რიცხობრივი თვალსაზრისით ხალხის კვებაში უყურადღებოდ დასატოვებელი ფაქტორია — მაინც შეუძლია გამოიწვიოს ადამიანის დაავადება საზოგადოებრივ ორგანიზმში — ხანგრძლივ პერსპექტივაში ასეთი ჟურნალის დაკარგვამაც კი შეიძლება გაცილებით უფრო დიდი ზარალი გამოიწვიოს, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. მაშინ რაღა მოხდება, თუკი საქმე ეხება არა ერთი, არამედ ყველა ჟურნალის დაკარგვას?

ადვილად შეიძლება იმის დამტკიცება, რომ კულტურული საზოგადოების სტრატიფიცირებულ სამყაროში შემეცნების, აზროვნებისა და შემოქმედების ჭეშმარიტი მნიშვნელობა არასოდეს არაა მთლიანად ამოწურული იმ მნიშვნელობით, რომლებიც ამ ღირებულებებს აქვთ პირთა ფიზიკური წრისათვის, რომლებსაც მათთან — პირველ პლანზე, საწყისში, „ფიზიკურად“ — აქვთ საქმე აქტიურად თუ პასიურად. ეს რაოდენობა თითქმის ყოველთვის ძალიან მცირეა, განსაკუთრებით კი მეცნიერებაში ხელოვნებასთან შედარებით და მაინც, მიუხედავად ამისა, შემეცნება, რაზეც ახლა ვლაპარაკობთ, შეიძლება საბოლოოდ ძალიან ღრმად შეეხოს მთელ საზოგადოებას, რაც ბევრჯერ გაშუალებული გზითაა მოპოვებული. ისევე, როგორც ყოველ ჩვენგანს „ფიზიკურად“ ეხება პოლიტიკა, რომელიც ანგარიშს უწევს ატომურ საფრთხეს, განა არ გამოსცადა ჩვენმა უმრავლესობამ „ფიზიკურად“ თეორიულ-ფიზიკური სპეკულაცია, რომლებსაც ატომური ბომბის მშენებლობისაკენ მივყავდით. ეს რომ ჰუმანიტარულ აზროვნებაშიც ასეა, ამას ადასტურებს უამრავი მაგალითი მთელი საზოგადოების კულტურული, პოლიტიკური და მორალური ისტორიის ალმავლობიდან, რომლის პირველადი მაკრისტალიზებელი ბირთვი ან კატალიზატორი იყო არა მხოლოდ აღსრულებული საზოგადოებრივ-შემეცნებითი ქმედება, არამედ უშუალოდ („ფიზიკურად“) განცდილიც პიროვნებათა მეტად მცირე და გამორჩეული წრის მიერ. ეს ქმედება შეიძლებოდა შემდეგაც დარჩენილიყო საზოგადოების, როგორც მთლიანობის, პირდაპირი აპერცეპციის საზღვარს მიღმა — და, მიუხედავად ამისა, ეს მისი წარმოუდგენელი ალმავლობის წინაპირობა იყო! არასოდეს არ ვიცით, თუ შემეცნების შეუმჩნეველი ალი, ამოვარდნილი ორგანიზმის თვითშეგნებაზე დასპეციალებული რამდენიმე უჯრედიდან, მოულოდნელად როდის გაანათებს მთელი საზოგადოების გზას, და, შესაძლოა, თვითონაც კი ვერასოდეს გაიგოს, როგორ აღმოჩნდა ამ გზაზე. მაგრამ ეს კიდევ არაა ყველაფერი: შემეცნების იმ უამრავ გაელვებებს, რომლებიც საზოგადოებას როგორც მთლიანობას, გზაზე არასოდეს არ გადაუდგება, აქვთ თავისი ღრმა საზოგადოებრივი მნიშვნელობა. შესაძლებელია, რომ ეს მნიშვნელობა სხვა არაფერშია გარდა იმისა, **რომ ისინი აქ იყვნენ,** რომ **შეეძლოთ გაენათებინათ** და რომ ისინი არიან, უკვე მხოლოდ თავისი არსებობით — გარკვეული წრის საზოგადოებრივი პოტენციალის რეალიზაციით, გინდ შემოქმედებითი ძალების ან თავისუფლების სახით, რომ ისინი ქმნიან ან უზრუნველყოფენ **კულტურულობის კლიმატს,** რომელიც გარდაუვალად მიაღწევს უფრო მნიშვნელოვან გაელვებას. სულიერი თვითშეგნების არე **განუყოფელია,** ერთი ძაფის გაწყვეტაც კი გარდაუვლად არღვევს მთელი ბადის სიმკვრივეს და უკვე ეს ადასტურებს ყველა სუბტილური პროცესის განსაკუთრებულ კავშირს საზოგადოების ორგანიზმში, რომელზეც მე ვლაპარაკობდი; ყოველი მათგანის იმ ზეალმატებულ მნიშვნელობას, და, მაშასადამე, მისი რღვევის ზეალმატებულ დამღუპველობასაც.

არ მინდა ყველაფრის ამ ერთ, ტრივიალურ ასპექტამდე დაყვანა, მაგრამ განა არ ადასტურებს საზოგადოების მთლიან სულიერ და მორალურ მდგომარეობაზე დამღუპველ ზეგავლენას — რომელიც უკვე აქვს და განსაკუთრებით მომავალში ექნება — ამგვარ „კულტურის დაპატიმრებას“ მაშინაც კი, თავისი უშუალო ზემოქმედების ქვეშ თავების თუნდაც მხოლოდ შედარებით მცირე რაოდენობაც რომ მოექცია?

თუკი უკანასკნელი წლების მანძილზე წიგნების მაღაზიების დახლებზე არ გამოჩენილა არცერთი ჩეხური რომანი, რომელიც საგრძნობლად გაზრდიდა ჩვენს თვალსაწიერს სამყაროს გამოცდილებაზე, ეს გარეგნულად არანაირად არ მჟღავნდება — მკითხველები ამის გამო დემონსტრაციას არ მოაწყობენ, ხოლო წასაკითხად კაცი ყოველთვის იპოვის რამეს. ვინ შეხედავს შეაფასოს, თუ რას ნიშნავს ეს ფაქტი ჩეხი საზოგადოებისათვის? ვინ იცის ის, შემდგომი წლების სულიერ ატმოსფეროში როგორ გამჟღავნდება ეს ხარვეზი? რამდენად დაასუსტებს ჩვენს შესაძლებლობას „შეიცნო თავი შენი?“ კულტურული თვითშემეცნების არსებობა რამდენად დაემჩნევა იმათ, რომლებიც დღეს ან ხვალ დაიწყებენ საკუთარი თავის შეცნობას? საზოგადოების შემეცნებაში ნელ-ნელა დალექილი მისტიფიკაციის რა რაოდენობის დანგრევა იქნება საჭირო და სად მოგვიხდება დაბრუნება? ვინ იცის, ვინ, როდის, საიდან და როგორ მოიკრებს კიდევ ძალას სიმართლის ახალი ნაპერწკლის გასაღვივებლად — როდესაც ასე თანამიმდევრულად იკარგება არა მარტო შესაძლებლობა, არამედ ამგვარი აგიზგიზების **შესაძლებლობის შეგრძნებაც კი?**

მიუხედავად იმისა, რომ წიგნების მაღაზიებში ასეთი რომანები არაა, ისინი მაინც არსებობენ: ხელნაწერების სახით გადადიან ხელიდან ხელში. ამ თვალსაზრისით სიტუაცია არცთუ ისე უიმედოა. ყველაფრიდან, რაც აქამდე ვთქვი, ნათელია, რომ ასეთ რომანს წლების მანძილზე ოც კაცზე მეტიც რომ არ გაცნობოდა, მის ასეთ უცნაურ არსებობას მაინც აქვს აზრი: უკვე იმას, რომ ასეთი წიგნი არის, რომ საერთოდ დაიწერა და რომ კულტურული შემეცნების ვიწრო სარტყელში მაინც ცოცხლობს. მაგრამ როგორაა საქმე იმ სფეროებში, სადაც შეუძლებელია მუშაობა სხვაგვარად, თუ არა ე. წ. ლეგალურ სტრუქტურათა დონეზე? როგორ შევიმეცნოთ იმ ზარალის რეალური მოცულობა, რომელმაც გამოიწვია და იწვევს თეატრისა და კინოს — სოციალურ-ყოფიერებითი სფეროს ამ სრულიად სპეციფიკური წედომის — საინტერესო მიმართულებების დაღრჩობა? რას შეიძლება ნიშნავდეს თუნდაც ის ვაკუუმი, რომელიც ჰუმანიტარული მეცნიერებების, თეორიისა და სამეცნიერო-საზოგადოებრივი ესთეტიკის სფეროში ჩნდება? ვინ გარისკავს გამოიცნოს ის შედეგები, რაც მოჰყვება უწყვეტ თვითშემეცნებით პროცესთა ძალდატანებით შეწყვეტას ონტოლოგიურ, ესთეტიკურ და ისტორიულ დონეზე, რაც ასე დამოკიდებულია სასწავლო წყაროებსა და მუდმივ საზოგადოებრივ კონფრონტაციებზე, და საერთოდ, რა მოჰყვება ინფორმაციის ბუნებრივი ცირკულაციის, აზრის, ცოდნის, ღირსებათა და თვალსაზრისთა ნებისმიერი დაკრისტალების ძალდატანებით აკრძალვას?

მაშასადამე, მთელი კითხვა ასე ჟღერს: **კულტურის დღევანდელი კასტრაცია რამდენად ღრმა სულიერ და მორალურ იმპოტენციამდე მიიყვანს ხვალ ერს?**

ვშიშობ, რომ დამლუძველი საზოგადოებრივი შედეგები ამ შემთხვევაში მრავალი წლით გადაამეტებს კონკრეტულ პოლიტიკურ ინტერესებს, რომლებმაც იგი გამოიწვიეს. **მით უფრო დიდი იქნება მათი ისტორიული დანაშაული, ვინც ერის სულიერი მომავალი საკუთარი ხელისუფლების არსებობას შესწირა.**

არის რა კოსმოსის ძირითადი კანონი ენტროპიის გაზრდა, ცხოვრების ძირითად კანონს, პირიქით, სტრუქტურულობის გაზრდა და ენტროპიის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს. ცხოვრება ეწინააღმდეგება ერთფეროვნებას და ერთიანობას, მისი პერსპექტივა „გაერთნაირება“ კი არაა, არამედ განსხვავებადობაა — ტრანსცენდენტურობის დაუცხრომლობა, მშფოთვარება, ახლის ძიება, ამბოხი „სტატუს კვოს“ წინააღმდეგ; მისი განვითარების არსებითი შინაარსია უსასრულოდ მოქმედი საიდუმლოება.

საზოგადოებრივი ხელისუფლების არსში, რომლის მიზანიც პერმანენტული ერთსულოვანი თანხმობის ძალდატანებითი გამოძალვის მეშვეობით საკუთარი უცვალებლობის დაცვითაა შემოსაზღვრული, პირიქით, არის არსებითი უნდობლობა ყოველივე განსხვავებულის, განუმეორებლის და ტრანსცენდენტულის მიმართ, წინააღმდეგობა ყოველივე უცნობის, გაუგებრის და აქტუალურად იდუმალის მიმართ, არსებითად მიმართული ერთფეროვნების, ერთნაირობის და უძრაობისაკენ, ღრმა სიყვარული „სტატუს კვოს“ მიმართ. მექანიკურობის სული მასში სჯობნის ცხოველმყოფლობის სულს. წესრიგი, რომლის მიღწევასაც ცდილობს, საზოგადოების თვითორგანიზაციის მისი მზარდი სტრუქტურულობის ეკვივალენტური, ახალ-ახალი, ჭეშმარიტი ფორმების ძებნა კი არ არის, არამედ პირიქით, დაყვანილია ვითომც იმ „ნამდვილ მდგომარეობამდე“, რომელიც უმაღლეს ენტროპიას* წარმოადგენს. **ენტროპიის მიმართულებით მიმავალი, ასეთი ხელისუფლება სიცოცხლის მიმართულების საწინააღმდეგოდ მიდის.**

როგორც ვიცით, ადამიანსაც აქვს წუთი, როდესაც მისი წყობის ყოველი საფეხური მოულოდნელად დაიწყებს ვარდნას ენტროპიის მიმართულებით, ე. ი. დადგება წუთი, როდესაც ის დაემორჩილება კოსმოსის საერთო კანონს: ეს არის სიკვდილის წამი.

სადაც თავად საზოგადოებრივი ხელისუფლების საფუძველში, რომელიც ენტროპიის მიმართულებით მიდის (და რომელიც უდიდესი სიამოვნებით დაამსგავსებდა ადამიანს გამომთვლელ მანქანას, რომელშიც შესაძლებელი იქნებოდა ნებისმიერი პროგრამის შეტანა, იმის სრული რწმენით, რომ ეს პროგრამა შესრულდება), არსებობს სიკვდილის პრინციპი და აი, სიკვდილის სულიც დაჰქროლებს და ის წარმოდგენები „წესრიგზე“, რომლებსაც ეს ხელისუფლება იყენებდა და რომლის პერსპექტივაშიც ნამდვილი სიცოცხლის ყოველი გამოვლინება — თავისებური საქციელი, განსაკუთრებული ასახვა, გამორჩეული აზრი, გაუთვალისწინებელი სურვილი ან იდეა — უეჭველად „არეულობის“, „ქაოსის“ და „ანარქიის“ სიგნალია.

მთელი თავისი პოლიტიკური პრაქტიკით, რომლის ძირითადი ასპექტების თანდათანობით აღწერასაც შევეცადე, ჩვენი თანამედროვე რეჟიმიც ამტკიცებს, რომ „სიმშვიდე“, „წესრიგი“, „კონსოლიდაცია“, „კრიზისიდან გამოსვლა“, „გარყვნილების აღკვეთა“, „ვნებათაღელვის დაცხრომა“ და ა. შ., რომლებიც თავიდან მისი პოლიტიკური პროგრამის ღერძს წარმოადგენდნენ, საბოლოოდ მისთვის იგივე სასიკვდილო შინაარსი აქვთ, რაც ყველა „ენტროპიული“ რეჟიმისათვის.

დიახ. აქ წესრიგია: ბიუროკრატიული წესრიგი ნაცრისფერი ერთფეროვნებისა, რომელიც აკვდინებს თავისთავადობას, მანქანური მექანიკურობისა, დამყაყებული უძრაობისა, რომელიც გამორიცხავს ტრანსცენდენტს, **ეს არის წესრიგი სიცოცხლის გარეშე.**

დიახ, ჩვენს მიწაზე სიმშვიდეა: მაგრამ ეს მორგის ან კუბოს სიმშვიდე ხომ არ არის?

საზოგადოებაში, რომელიც ნამდვილად ცხოვრობს, ბუნებრივია, უსასრულოდ რაღაც **ხდება.** თანახმიერება არსებული ქმედებებისა და მოვლენებისა, ცხადი და ფარული მოძრაობისა, ქმნის ახალ, განუმეორებელ მოვლენებს, რომლებიც მოუწოდებენ შემდგომი მოქმედებებისაკენ და იწვევენ ახალ მოძრაობას. იდუმალი ცხოველმყოფელი პოლარულობა მარადიულისა და ცვალებადისა, კანონზომიერისა და შემთხვევითისა, მოსალოდნელისა და მოულოდნელისა ხდება **დროში** და მჟღავნდება **ქმედებით.** და ამასთან ერთად, რაც უფრო დანაწევრებულია საზოგადოებრივი ცხოვრება, მით უფრო დანაწევრებულია საზოგადოებრივი დრო: მასში ძლიერდება თავისთავადობისა და განუმეორებლობის ელემენტი. ეს, რა თქმა უნდა, აძლიერებს სახვის შესაძლებლობას მისსავე თანმიმდევრულობაში, ე. ი. როგორც შეუქცევადი სიტუაციის განუზრელი დინება, ეს კი პირუკუ აძლიერებს შესაძლებლობას უკეთ იქნას გაგებული ისიც რაც საზოგადოებრივ ქმედებაში კანონზომიერია. მაშასადამე, რაც უფრო მდიდარი ცხოვრება აქვს საზოგადოებას, მით უფრო უკეთ ესმის მის საზოგადოებრივი დროის განზომილება, **ქმედების განზომილება.**

სხვა სიტყვებით: სადაც არის ასპარეზი საზოგადოებრივი ქმედებისათვის; იქვე იშლება სივრცე საზოგადოებრივი მეხსიერებისათვის.. საზოგადოებას, რომელიც ცხოვრობს, აქვს **ისტორია.**

რასაკვირველია, თუკი ისტორიაში არის უწყვეტობისა და მიზეზობრიობის ელემენტი, რომელიც არსებითადაა დაკავშირებული განუმეორებლისა და წინასწარგანუჭვრეტლობის ელემენტთან, იბადება კითხვა: სინამდვილეში როგორ შეუძლია ისტორიას — „ქაოსის“ ამ უშრეტ სათავეს, მოუსვენრობის მუდმივ წყაროს — იარსებოს იმ სამყაროში, რომელსაც ფლობს „ენთროპიული“ რეჟიმი.

პასუხი ნათელია: მასში არსებობა შეუძლებელია. და ამიტომ—გარეგნულად მაინც — არც არსებობს: სიცოცხლის, როგორც ასეთის, მოკვდინებით, მასში გაჩერებულია საზოგადოებრივი დრო და ამიტომაც ისტორია ქრება მისი ჰორიზონტიდან.

და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ჩვენც გარკვეული დროიდან არ გვქონდეს ისტორია: ნელა, მაგრამ საფუძვლიანად ვკარგავთ დროის შეგრძნებას—გვავიწყდება, რა როდის იყო, რა იყო ადრე და რა მოგვიანებით და საერთოდ რა იყო — ამიტომაც ჩვენში ჭძლავრობს გრძნობა, რომ პრინციპში ეს სულერთია. ისტორიიდან ქრება თვითმყოფადობა და მაშასადამე, უწყვეტობაც, ყოველივე ერთიანდება ერთიდაიგივე წრებრუნვის ერთ ნაცრისფერ სურათში: ვამბობთ, რომ „არაფერი არ ხდება“. მომაკვდინებელი წესრიგი აქაც იყო შემოტანილი, ქმედება სრულყოფილადაა მოწესრიგებული და ასევე სრულყოფილად მოკვდინებული. დროითი თანამიმდევრობის კრიზისის შეგრძნებას საზოგადოებრივი ცხოვრების სიბრტყეში იგი ამასთანავე და აუცილებლად მიჰყავს პირადი ცხოვრების კრიზისისკენაც: იკარგება, რა საზოგადოების ისტორიის ფონი და ამით პიროვნული ერთეულის მდგომარეობის ისტორია . ამ ისტორიაში, პირადი ცხოვრება ეცემა პრეისტორიულ დონემდე. სადაც დრო რიტმიზირებულია მხოლოდ ისეთი მოვლენებით, როგორებიცაა დაბადება, ქორწილი ან სიკვდილი.

ჩეხურიდან თარგმნა
მაკა ნაჭყებიამ

(გაგრძელება იქნება)

---

* მცნება „ენტროპიის“ დახმარებით იყო ფორმულირებული თერმოდინამიკის მეორე კანონი, რომელიც გამოხატავს ენერგეტიკული ცვლილებების მიმართულებას. იზოლირებულ სისტემაში ენერგეტიკული ცვლილებების დახმარებით თანდათან ამოიწურება შემდეგი ცვლილებების შესაძლებლობა, გროვდება დეგრადირებული ენერგია, რომელსაც არ შეუძლია გარდაიქმნას სხვა სახის ენერგიად, მანამდე, ვიდრე ენტროპია მაქსიმუმს, სითბურ წონასწორობას მიაღწევს. მე-20 საუკუნის (შუა წლებში ინფორმაციის თეორიამ განაზოგადა იგი და ეს ტერმინი იხმარება ყველა დისციპლინაში, როგორც სისტემის განსაზღვრულობის (განუსაზღვრელობის) და წესრიგის (უწესრიგობის) საზომი.
(მცირე ფილოსოფიური ლექსიკონი).

**— ბატონო ზვიად, მსოფლიოში მიმდინარე პროცესები გარკვეულწილად ხელსაყრელია დაპყრობილი ქვეყნების გამანთავისუფლებელი მოძრაობისათვის. ამავე დროს, კრემლი დღემდე რჩება უხეშ და საშიშ მოწინააღმდეგედ, მსოფლიო კი მას ანგარიშს უწევს. ასეთი ვითარება, ესე იგი, გარკვეული მხარდაჭერა გარედან, ხოლო, მეორეს მხრივ, გარედანვე მომდინარე დიდი წინააღმდეგობა, უზარმაზარ წინდახედულობას, სიფრთხილეს და, იმავდროულად, სიმტკიცეს მოითხოვს. როგორ ჭრით ამ პრობლემას?**

— მოგახსენებთ, რომ პირველი დღეებიდანვე ცენტრმა საკმაოდ შემოგვიტია, ვინაიდან ის ვერ ეგუებოდა იმ ცვლილებებს, რაც მოხდა საქართველოში. პირველი და უმთავრესი, რამაც გამოიწვია კრემლის უმწვავესი რეაქცია, იყო ჩვენს მიერ ჩატარებული ღონისძიებები შინაგან საქმეთა სამინისტროში და უშიშროების კომიტეტში, სადაც ფაქტობრივად არაფერი დარჩა საბჭოთა. ხელმძღვანელობა, მათი მუშაობის მიმართულება მთლიანად შევცვალეთ, რათა ისინი თანდათან ეროვნულ ორგანიზაციებად გადაიქცნენ, ამასთან დაკავშირებით მოგვივიდა გორბაჩოვის დეპეშა, პირდაპირ გვემუქრებოდა, თუ ყოველივეს უკან არ წაიღებთ, კანონით გათვალისწინებულ ზომებს მივიღებო, მაგრამ ჩვენ არც ერთი ნაბიჯით არ დავიხიეთ, ყველაფერი ისევე დავტოვეთ და რაც ცენტრიდან მოდიოდა, არაფერი არ შევასრულეთ. შემდეგ ასეთივე კონფლიქტი მოგვივიდა ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიის გაუქმების თაობაზე. ეს კონფლიქტი დღემდე გრძელდება. ახლა გამოვიდა მისი დადგენილება, რომელიც წარმოადგენს უხეშ ჩარევას ჩვენს შინაურ საქმეებში, მაგრამ ჩვენ უკან არ დავიხევთ, არ შევცვლით ჩვენს გადაწყვეტილებებს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არ დაგვითმია არაფერი, პრინციპულად ვდგევართ იმ პოზიციაზე, რომელზეც თავიდანვე ვიდექით და ვახორციელებთ მრგვალი მაგიდის კურსს. ამავე დროს, სიფრთხილესაც არ გამოვრიცხავთ. არ არის საჭირო ავანტიურისტული მოქმედება, რისკენაც ზოგიერთები მოგვიწოდებენ. ომის გამოცხადება, პირდაპირი შეიარაღებული შეტაკება და სხვა, მიგვაჩნია ავანტიურად, ამიტომ ასეთ ნაბიჯებს ნამდვილად არ გადავდგამთ და არ გავამწვავებთ ურთიერთობას, განსაკუთრებით საოკუპაციო ჯარებთან. თუმცაღა, პროვოკატორები წამდაუწუმ მოგვიწოდებენ მათთან კონფლიქტისა და ურთიერთობის გამწვავებისაკენ. ეს არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად. ჩვენი აზრით, საოკუპაციო ჯარებთან ჩვენი ურთიერთობა უნდა განსაზღვროს საერთაშორისო სამართალმა, უნდა ველაპარაკოთ მათ საერთაშორისო სამართლის ენაზე. ყოველგვარი ფიზიკური წინააღმდეგობა, ჯიბრი, შეტაკება და სხვა, მიგვაჩნია ავანტიურად და არასწორ მოქმედებად. ამ გაგებით, გარკვეულ სიფრთხილესაც ვიჩენთ, მაგრამ ამავე დროს არ ვღალატობთ ჩვენს მთავარ პრინციპებს და პოზიციის ურყეობას ვამჟღავნებთ.

**— ვერსად გავექცევით იმ სავალალო ფაქტს, რომ ჩვენი ყოფის ყველა სფეროში დაბუდებულია ე. წ. მაფია. ისიც უნდა ითქვას, რომ თავად ამ ცნებამ ჩვენში განსხვავებული დატვირთვა შეიძინა, ვიდრე მას უცხოეთში აქვს. საზოგადოება ერთობ მტკივნეულად აღიქვამს ახალი ხელისუფლების ურთიერთობას სხვადასხვა ჯურის მაფიასთან. ერთნი მწვავედ განიცდიან, როდესაც სხვადასხვა ადამიანებსა და დაჯგუფებებს, თუნდაც კომპრომეტირებულთ, ხელისუფლება უტევს. მეორე ნაწილი უკმაყოფილებას გამოხატავს, როდესაც ადგილი აქვს გარკვეულ დათმობას. პირადად მე სავსებით ვიზიარებ მეორე ნაწილის განწყობას.**

— მაფიოზური დაჯგუფებების ესოდენ დიდი სიმრავლე, პირველ რიგში, კომუნისტური, ტოტალიტარული წყობილების მანკიერებაა, ვინაიდან მან მოუსპო ადამიანს საშუალება კანონიერი და სამართლიანი გზით შემოსავლის ქონისა, კარგი ცხოვრებისა და წარმატების მიღწევისა მოღვაწეობის ამა თუ იმ სფეროში, ამიტომ მიჰყვეს ხელი უკანონო და დანაშაულებრივ გზას, რითაც გამრავლდა მაფიები, ეს არის ფაქტობრივად დანაშაულებრივი დაჯგუფებები, რომლებიც უპირისპირდებიან სამართლეს, სიკეთეს, ჭეშმარიტებას, კანონიერებას. მათ წინააღმდეგ ბრძოლა დამსჯელი ორგანოების მეშვეობით, რასაკვირველია, უსარგებლოა; ისევ და ისევ საჭიროა იმ სისტემის დანგრევა, რამაც ეს ყოველივე წარმოშვა. ამ სისტემის ლიბერალიზაცია არის საჭირო, მისი მისადაგება ადამიანის ნორმალური მოთხოვნილებისადმი, შემოსავლის გაზრდა, რათა ადამიანმა შემოსავლის ძიებაში არ დაარღვიოს კანონიერება. ჩვენი სახელმწიფო წყობილების გაჯანსაღება, ეკონომიკური ღონისძიებები გამოიწვევს შემდგომ ამ მაფიების დაშლას, ისინი შეწყვეტენ არსებობას. სანამ კომუნისტური სისტემის რეციდივები გვექნება, მაფია ყოველთვის იარსებებს.

**— მაგრამ მაფია კულტურასა და მეცნიერებაშიც არსებობს. ეს ის დაჯგუფებებია, რომლებსაც ამა თუ იმ სფეროში ყველა სადავე ხელში აქვთ ჩაგდებული. ვინც ამ ორბიტაზე მოხვდება, მისი ნაწარმოები აუცილებლად შესრულდება, მის ფილმს უეჭველად ჩართავენ რეტროსპექტივაში, დაუბრკოლებლად გაიგზავნება საზღვარგარეთ პრესტიჟულ სამეცნიერო ფორუმზე, ან მორიგი „აღმოჩენის“ გასაკეთებლად, საბოლოო ჯამში კი ზარალდება მეცნიერება და კულტურა.**

— პატარა სამეფოები, პატარა იმპერიები კულტურასა და მეცნიერებაში უნდა მოისპოს. იქ პატარა ლიდერები — მეფეები და თავადები — არიან, რომლებიც თავის კლანს იკრებენ გარშემო. ეს კლანი შემდეგ იბრძვის თავისი ინტერესებისათვის, თავისი მოგებისთვის და ყველანაირი პირადი კეთილყოფისთვის. როდესაც უფრო დემოკრატიული გახდება მმართველობა ამ სფეროებში, ეს გამოიწვევს ამ მაფიების არსებობის შეწყვეტას.

**— მაშასადამე, მათ საარსებო ნიადაგი აღარ ექნებათ.**

— რასაკვირველია.

**— რა დამოკიდებულება გაქვთ ამჟამინდელ ოპოზიციასთან და ბოლო ხანებში ჩატარებულ შიმშილობებთან?**

— საქართველო სამხრეთის ქვეყანაა და აქ ზარმაცთა, მუქთახორათა და უსაქმურთა წინააღმდეგ ბრძოლა ძალზე რთულია, მაგრამ თუ ისინი ჩაიდენენ სისხლის სამართლის რაიმე დანაშაულს, სასჯელი არ უნდა ასცდეთ. რაც შეეხება შიმშილობას, ეს ზნეობრივი აქციაა და უანგარო ეროვნული, ან რელიგიური იდეების სახელით უნდა მიმდინარეობდეს. ტერორისტების შიმშილობა, ან ტერორისტების ინსპირაციით შიმშილობა ხალხის სიმპათიას ვერასოდეს დაიმსახურებს. მე მოვიყვან ირლანდიის მაგალითს: ჩვენი საუკუნის დასაწყისში ირლანდიელი პატრიოტების შიმშილობამ გამოიღო უდიდესი შედეგი, თავისუფლება მოუტანა ირლანდიას, ვინაიდან ისინი ზნეობრივი და უანგარო ადამიანები იყვნენ, იბრძოდნენ სამშობლოს თავისუფლებისათვის, შიმშილობდნენ ოკუპანტების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, თავისუფლების სახელით. ახალ დროში კი, ირლანდიელი ტერორისტების შიმშილობამ არსებითად ვერავითარი რეზონანსი ვერ მიიღო, მიუხედავად იმისა, რომ მოშიმშილეთა სიკვდილით დამთავრდა. დღეს ტერორი და ყოველგვარი ძალადობა უკიდურესად არაპოპულარულია, ხალხში ანტიპათიის გარდა, არაფერს იწვევს. ჩვენში ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული შიმშილობა ხალხის მხარდაჭერას ვერ მოიპოვებს. უპრიანი იქნება, თუ ამგვარ აქციებს ცენტრის დიქტატის წინააღმდეგ მიმართავენ. ერთმა პიროვნებამ შიმშილობა დაიწყო ჩვენზე დიქტატის განხორციელების მიზნით. გარწმუნებთ, ეს მოლიპული გზაა. წამოგვიყენეს ულტიმატუმები, გვიბრძანებდნენ და გვეუბნებოდნენ — შეასრულეთ ესა და ეს, თორემ ვიშიმშილებთ. ეს არ არის გზა პარლამენტთან ურთიერთობისა. ეს მოთხოვნები უნდა შემოეტანათ საკანონმდებლო ინიციატივების სახით, ვინაიდან მათ, როგორც ოპოზიციურ პარტიებს, ჰქონდათ ამის უფლება. დიქტატითა და ტერორიზებით კი ვერაფერს მიაღწევენ ჩვენთან. რაც შეეხება მოშიმშილე ქალების ცემას და დარბევას, მე არავის ვუსურვებ ახალი როდიონოვის სახელის დამკვიდრებას. როგორც როდიონოვი შეაჩვენა ქართველმა ერმა და მოიკვეთა, ისევე შეაჩვენებს მათ. ნათქვამია — საქართველოში ქალს ძაღლიც არ შეუყეფსო, აქ კი, რა ნახა ჩვენმა თვალებმა?! მე მგონი, ჩვენ სერიოზულად უნდა დავუფიქრდეთ ამ ამბავს. გარდა ამისა შიმშილობას აქვს თავისი ეთიკა, მოშიმშილესთვის, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულია ხმაურიანი მიტინგების ჩატარება, მით უმეტეს, შიმშილობის მეშვიდე დღეს.

# ზვიად გამსახურდია:

# „უნდა დავიცვათ ჩვენი მიწა-წყალი...“



როდესაც ერთი მოშიმშილე სხვა მოშიმშილეებს ტერორისტებს მიუსევს დასარბევად, იგი ამით საკუთარ შიმშილობას აუფასურებს.

**— რა აზრისა ხართ ეროვნული კონგრესის საქმიანობაზე?**

— ამდენი ხანია პარალელურად არსებობს უზენაესი საბჭო და ე. წ. კონგრესი, აბა, თუ ყოფილა შემთხვევა, რომ ჩვენ რაიმე გვებრძანებინოს კონგრესისათვის, მიგვეცეს რაიმე მითითება, ან წაგვეყენებინოს ულტიმატუმი?! ისინი თითქმის ყოველდღე გვიყენებენ ულტიმატუმებს და არ შესრულების შემთხვევაში აქციებით გვემუქრებიან. კონგრესი აცხადებს, რომ იგი ქართველმა ერმა აირჩია. ბოლოსდაბოლოს ჩვენ გვაქვს უფლება ვკითხოთ ქართველ ერს — ნამდვილად აირჩია თუ არა მან ეს ე. წ. კონგრესი. ამის გამო, მე მომხრე ვარ დას-ის სათათბიროს წევრთა ინიციატივისა მოვაწყოთ ამომრჩეველთა პირადი გამოკითხვა, რათა საბოლოოდ გაირკვეს, თუ ვინ აირჩია ეს ე. წ. კონგრესი. მართალია, ეს დაკავშირებული იქნება გარკვეულ ხარჯებთან, მაგრამ ჩვენ მაინც მზად ვართ ამ ნაბიჯის გადასადგმელად. ისიც მიფიქრია, რომ ტყუილად გავაუქმეთ პოლიტგანათლების სახლი. მართალია, ის თავის დანიშნულებას არ ასრულებდა და ცრუ პოლიტგანათლების სახლი იყო, მაგრამ პოლიტოლოგიის ანბანი ხომ უნდა ისწავლოს ზოგიერთმა პოლიტიკოსმა, რათა კურიოზები არ მოუვიდეს. ერთ-ერთმა ლიდერმა შარშან პირველად გაიგო სიტყვა „აპარტეიდი“ და ითხოვდა განმიმარტეთ მისი მნიშვნელობაო. ასეთი პიროვნებები, ცხადია, შორს ვერ წაიყვანენ იმ პარტიებს, რომლებსაც ისინი სათავეში უდგანან. აუცილებელია განათლება, პოლიტოლოგიის საფუძვლების შესწავლა, რათა კამათი მაინც გახდეს მათთან შესაძლებელი.

**— მილიციას და უშიშროების კომიტეტს დღეს ეწოდა — ეროვნული, ეს, ალბათ, ერთგვარი მორალური ავანსია.**

— ეს არის მორალური ავანსი და ამავე დროს დავალება და ვალდებულება. ჩვენ ამით ვუთხარით მათ, რომ დამთავრდა ის დრო, როდესაც ისინი ემსახურებოდნენ კომუნისტური პარტიის ინტერესებს, იმპერიის ინტერესებს, ფაქტობრივად მტრის ინტერესებს. ახლა მათ ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე უნდა იმოქმედონ. ჩვენ მათ შევუცვალეთ სახელი, ხელმძღვანელობა, გარეგნულ ფორმასაც შევუცვლით, ჩაცმულობა მათი სხვა იქნება, საბჭოთა გერბების ნაცვლად ეროვნული გერბები ექნებათ, მაგრამ უნდა შეიცვალოს სული, პოზიცია, მსოფლმხედველობა, მაშინ მთელი მათი მუშაობის სტრუქტურა შეიცვლება და მართლაც ეროვნული მილიცია და ეროვნული უშიშროების კომიტეტი გვექნება. სხვათა შორის, ამ სამსახურის ჩამოყალიბებამ და იმ რეფორმებმა, რაც ჩვენ იქ ჩავატარეთ, გამოიწვია იმპერიული სუკ-ის გამოყოფა, რომელიც ფარულად მაინც არსებობს თბილისში, სასაზღვრო ჯარების სამმართველოში, აქედან გაძევებული კრემლის აგენტები ნავოდნიჩის მეთაურობით იქ მოკალათდნენ და მეორე სუკი შეიქმნა, თუმც არაოფიციალური და ფარული. მაგრამ ეს ჩვენ არ გვაშინებს, რადგან ძირითადი ძალა, არსებული ეროვნული უშიშროების სამსახურის ხელშია, იმპერიული სუკ-ის მოქმედებას ვაკონტროლებთ და, შეძლებისდაგვარად, ვანეიტრალებთ.

**— ბატონო ზვიად, თუ აქამდე მილიციაში სამსახური სამარცხვინო იყო, ალბათ, შორს არ არის ის დრო, როდესაც ფსიქოლოგიური გარდატეხა მოხდება და იქ სამსახური არათუ სამარცხვინო, არამედ საპატიოც იქნება.**

— როდესაც დაინახავენ მათ საქმეებს, როდესაც დაინახავენ, რომ ეს უკვე არ არის ანტიეროვნული და საქართველოს წინააღმდეგ მიმართული საქმიანობა, მაშინ უკვე სასახელოც იქნება, ისევე როგორც უცხოეთში. ეროვნულ პოლიციაში, ეროვნულ ჯარში, ეროვნულ სადაზვერვო სამსახურში ყოფნა არც ერთი ინგლისელისთვის, ფრანგისთვის სამარცხვინო არ არის და ქართველისთვის რატომ უნდა იყოს?! სამაჩაბლოში დღეს მრავალმა მათგანმა გამოიჩინა გმირობა, ისინი მისაბაძნი არიან ყველა ქართველისთვის.

**— გავიგე, რომ მერაბ კოსტავას საზოგადოების რამდენიმე წევრმა მილიციაში დაიწყო მუშაობა იქაური ვითარების გაჯანსაღების მიზნით.**

— ეს ასეა, ისინი მაგალითის მისაცემად მივიდნენ იქ. ადრე მილიციელი ლამის ყველაზე სამარცხვინო ადამიანი იყო, დღეს კი სასახელო უნდა გახდეს, მან წესრიგი, ეროვნული უშიშროება და ყოველი ჩვენგანის სიცოცხლე უნდა დაიცვას. ეს საპატიო მოვალეობაა.

**— დღევანდელ დღეს რა უნდა გაკეთდეს?**

— დღეს უნდა გაერთიანდეს ყველა ეროვნული ძალა კრემლის აგრესიის წინააღმდეგ საბრძოლველად — აქციები, პროტესტები, შესაძლოა დაგვჭირდეს საყოველთაო გაფიცვა და ეროვნული დაუმორჩილებლობა. უნდა დავიცვათ ჩვენი მიწა-წყალი მტრისაგან, თუ საჭირო გახდა, იარაღითაც კი.

ესაუბრა
**მარიკა აბაიშვილი**

---

**რედაქტორისაგან: ჩვენი რედაქციის თანამშრომლებთან ერთად გილოცავთ შობა-ახალ წელს! ვუსურვოთ ერთმანეთს ყველა იმ მიღწევის განმტკიცება და გაღრმავება, რაც ქართველი ხალხის დიდი ძალისხმევის შედეგად მოვიპოვეთ.**

**ამ ძნელ გზაზე ჩვენი გაზეთიც ეცდება თავისი მოკრძალებული წვლილის შეტანას.**

**სამწუხაროდ, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, შეფერხდა გაზეთის გამოცემა, რისთვისაც ბოდიშს ვუხდით მათ, ვინც ჩვენდამი ინტერესი და მხარდაჭერა გამოავლინა.**

**სამომავლოდ დაგეგმილი გვაქვს პრობლემური, ანალიტიკური პუბლიკაციები შემდეგ საკითხებზე — ეკონომიკა, სოფელი, ქალაქმშენებლობა, განათლება, ჯანმრთელობის დაცვის სამსახური, კულტურა, მეცნიერება...**

**დავბეჭდავთ ცნობილი უცხოელი პოლიტიკოსების წერილებს, სისტემატურად შემოგთავაზებთ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ამსახველ მასალას.**

**კვლავაც თქვენი თანადგომის იმედი გვაქვს.**

რედაქტორი მარიკა აბაიშვილი
სარედაქციო კოლეგია: ზვიად გამსახურდია, მუხრან მაჭავარიანი, თედო პაატაშვილი, გურამ პეტრიაშვილი, თემურ ქორიძე, ნოდარ წულეისკირი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა № 14

ინდექსი 66421

იბეჭდება ოფსეტური წესით ხოშარაულის ქუჩა №29

ფასი 50 კაპ.